# საქართველო

გაზეთი 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

## რესპუბლიკა

№4 (9836) 2025 წლის 15 იანვარი, ოთხშაბათი.

ფასი 1 ლარი

ეკატერინე ბაბუაშვილი:

## არ ვიცი, რა ბოროტებამ ჩაიბუდა ზოგიერთის გულში, რომ ასე სამკვდრო-სასიცოცხლოდ საკუთარ ქვეყანას გადაეკიდნენ?!

2

# ამაზრზენი და სამარცხვინო

ვიქტორ რცხილაძე

# საქართველოს ბედისწერა

## ყოჩაღ, ქალო, საქართველოსთვის ვამპირად მოვლენილო!

## რა გაცინებს სალო, ისეთს რას დაგპირდნენ, რომ შენში სიამოვნებას იწვევს სისხლის დანახვა?!

6

მერაბ ხვიჩია

## ე. ი. თქვენ თავში გველი გყავთ, თანაც, კობრა?“

4

## ნამახვანჰესი ქართველმა ხალხმა უნდა ააშენოს!

3

## ლიონელ მესის საჩუქარი ჭადრაკის დედოფალს!

12

## 2025 წელი სრულიად ახალი თაობის დასაწყისია!

8

გვარეულის წინამძღოლთა დარბაზი

## მწყემსი კეთილი

5

## წარმატებულ წარსულს მომავალიც ღირსეული უნდა!

# საუკუნის ვერნისაჟი

ვალენტინ შერპილოვის და მისი მოსწავლეების გამოფენა

7

## 14 იანვარი — დროშის დღე

## ალეკო პაპუაშვილი: არ ვიცი, რა ბოროტებამ ჩაიბუდა ზოგიერთის გულში, რომ ასე სამკვდრო-სასიცოცხლოდ საკუთარ ქვეყანას გადაეკიდნენ?! იმედი მაქვს, გამოფხიზლების მომენტიც მოვა

# ამაზრზენი და სამარცხვინო

**გოლო პერიოდში ვაკვირდებით, თუ რამდენად არაქართულია ის ე.წ. პროტესტი...**

**როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა აღნიშნა, 12 იანვრის მოწოდება რესტორნებში მომსახურებასთან დაკავშირებით, „ამაზრზენი და სამარცხვინოა“.**

„ყველა ეს მეთოდი, რასაც ჩვენ ვხედავდით, ვაკვირდებოდით გოლო პერიოდი, ხან ვუდუს თოჯინების გამოყენება, ხან კუბოს დაწვა, რაც კი ეს რიტუალები იქნა ჩატარებული, დაგოლოს, 12 იანვარს რაც ვნახეთ, ეს აბსოლუტურად ამაზრზენი და სამარცხვინო მოწოდება, თან, რაც მთავარია ჟურნალისტების მხრიდან, აჩვენებს ერთ რამეს, რომ თავისი არსით, კამპანია, ვინაიდან არის მართული გარედან, არის არაქართული. მისი მეთოდებიც **არ არის ქართული.** აბსოლუტურად უცხოა, მათ შორის, პროტესტის კულტურისთვისაც უცხოა ის, რასაც ჩვენ ვხედავდით მაშხალებით თავდასხმას პოლიციელზე, მტვრევას და მსხვრევას „მოლოტოვის კოქტეილებით“. ეს გოლო ორი წელია, ხომ ზუსტად ამ გარედან მართულმა პროტესტმა შეაჩვია ჩვენს თვალს, რომ თურმე „მოლოტოვის კოქტეილებს“ ისვრიან აქციებზე. ეს ოდესმე ყოფილა? ქართველებს რა, რა, და აქციები, მიტინგები და სხვა ასეთი საპროტესტო ღონისძიებები გავშვობიდან გვახსოვს სხვადასხვა სახის. ამით ვამაყობდით ყოველთვის, რომ ერთი ფოთოლი არ ჩამოვარდებოდა ხიდან, ისე მიმდინარეობდა აქციები. დღეს რას ვხედავთ? უცხოეთიდან მართულ აქციებს, რომელშიც მტვრევა, მსხვრევა, პოლიციელებზე თავდასხმა, ადამიანების შევიწროება, ლანძღვა, ქალი, კაცი, უკვე მნიშვნელობა არ აქვს, ყველა ერთნაირად, უმსგავსოდ იქცევა. მე ეს მაწუხებს, რადგან არ ვიცი, რა ბოროტებამ ჩაიბუდა ზოგიერთის გულში, რა ღვარძლი არის ასეთი, რომ აი, ასე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეიძლება, გადაეკიდონ საკუთარ ქვეყანას.

იმედი მაქვს, რაღაცნაირად გამოფხიზლების მომენტიც მოვა. ჩვენ ამაზე ყოველთვის ვამბობთ, რომ შეუძლებელია, ის ატმოსფერო, რაც გარედან შეგვიქმნა იმ ხალხმა, არჩევნების შემდეგ რომ ჩამოგვივიდნენ ევროპელი პოლიტიკოსები, შვედი პარლამენტის წევრი რომ ამბობდა, მაიდანს ჩახედეთ და იხელმძღვანელეთ მისი სცენარითო. აი, როგორც გარედან ამას გვიდგამენ არაქართულ, მტრულ, დემოკრატიის მიმართ მტრულ ღონისძიებებს, იმედი მაქვს, ქართველები ისევ გამოფხიზლდებიან და გოლო-გოლო დაფიქრდებიან, რას უშვრებიან საკუთარ სამშობლოს“, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

* * *

**რასა იუკნევიჩიენეს,** სიკორსკის და მიხეილ სააკაშვილის სხვა დანარჩენ მოტრფიალე და მფარველებს მოვუწოდებ, პირდაპირ ეთერში უყურონ, მოისმინონ, რა დანაშაულებრივ რეჟიმს უჭერდნენ თავის დროზე მხარს და რა დანაშაულებრივი რეჟიმის დაბრუნება სურთ მათ საქართველოში, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხზე განაცხადა.

* * *

**„კადრებშიც** დავინახეთ, როგორ დაარტყა პოლიციელს ხელი „ბათუმელების“ ერთ-ერთმა რედაქტორმა. მეორე რედაქტორი ურცხვად იტყუებოდა, გვატყუებდა მაყურებლებს, თითქოს რაღაც ჩოჩქოლი იყო და ვერც მიხვდა, რა იყო, თითქოს ხელი უბრალოდ აამოძრავა და შემთხვევით მოხვდა. „ბათუმელები“ და „ნეტგაზეთი“ არის სრულად უცხოეთიდან დაფინანსებული და ეს გამოჩნდა. ნაცვლად იმისა, რომ განვითარებულიყო მიუკერძოებელი ჟურნალისტიკა, განავითარეს მიკერძოებული პოლიტიკური აქტივიზმი. რა ესაქმებოდათ პოლიციასთან ჟურნალისტებს, გარდა იმისა, რომ აღეწერათ, რაც იქ ხდებოდა? ეს არის შედეგი იმისა, რომ ჩვენ ამ უცხოური დაფინანსებით მედიაში, ნაცვლად ჟურნალისტიკისა, მივიღეთ პოლიტიკური აქტივიზმი, რომელსაც ამ ვითარებამდე მივყავართ. ჟურნალისტმა ხელი აღმართა პოლიციელზე. მეორე ჟურნალისტი კი იტყუება, თითქოს არაფერი მომხდარა“, – განაცხადა პაპუაშვილმა.

* * *

**„ჩვენი** პოლიტიკური ინიციატივა, რაც არის საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის სახით, შეეხება 2003 წლიდან, „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის დამყარების მომენტიდან საპარლამენტო გამოკვლევას იმისა, რას წარმოადგენდა დანაშაულებრივი რეჟიმი, ყველა მისი გამოვლინებით, იქნებოდა ეს მედიის მიტაცება, ბიზნესის მიტაცება, ადამიანების წამება და სხვა სისტემური დანაშაულები, რათა კიდევ ერთხელ, მათ შორის ზოგიერთმა უცხოელმა აქტორმა, რომელიც დღემდე სააკაშვილს მოდერნიზატორად და დემოკრატიის შუქურად მოიხსენიებს, როგორც მაგალითად, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სიკორსკი რამდენიმე თვის წინ ამას აცხადებდა, დაინახონ, რას წარმოადგენდა ის რეჟიმი, რომელსაც ისინი 2003-12 წლებში ტაშს უკრავდნენ და დღემდე ეტრფიან.

ეს ყველაფერი იქნება პირდაპირ ეთერში გადაცემული. ამიტომ ყველას, ქალბატონ რასა იუკნევიჩიენეს, ბატონ სიკორსკის და მიხეილ სააკაშვილის სხვა დანარჩენ მოტრფიალე და მფარველებს მოვუწოდებ, პირდაპირ ეთერში უყურონ, მოისმინონ, რა დანაშაულებრივ რეჟიმს უჭერდნენ თავის დროზე მხარს და რა დანაშაულებრივი რეჟიმის დაბრუნება სურთ მათ საქართველოში. მიხვდნენ, რატომ ეუბნება ქართველი ხალხი ასე დაჟინებით უარს როგორც ამ რეჟიმს, ისე მათ უცხოელ მფარველებს. რაც შეეხება გამოძიებას უკვე სისხლის სამართლებრივ ნაწილში, ეს პროკურატურის საკითხია. ჩვენ პოლიტიკურად ვაფასებთ და ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ პოლიტიკური და სისხლის სამართლებრივი შეფასებები. პარლამენტი პოლიტიკურად შეაფასებს ამ საკითხს, მაგრამ ეს არ გამორიცხავს, რომ შიგნით მოიაზრება სისხლის სამართლებრივი დანაშაულები. ამიტომ ალბათ მნიშვნელოვანია, პროკურატურამაც შეხედოს ამას გულისყურით და იქ, სადაც შეიძლება, დადგინდეს სისხლის სამართლებრივი დანაშაული, შესაბამისი გამოძიება და კვლევა ჩაატაროს“, – აღნიშნა შალვა პაპუაშვილმა.

* * *

**ყველას** მოვუწოდებ, ჩახედონ, რატომ არის ეს მისთვის გამოსამშვიდობებელი ვიზიტი, რატომ არ იყრის ის კენჭს თებერვალში ბუნდესტაგის არჩევნებზე? რადგან ის „სოციალ-დემოკრატიული“ პარტიის პოლიტსაბჭოში აღარ აირჩიეს?!

პაპუაშვილის თქმით, გერმანიაშიც მიხვდნენ, რომ მიხაელ როთი არის ადამიანი, რომელიც სრულად დისკრედიტაციას უწევდა მის პარტიას და სწორედ ამიტომაც უწევს პოლიტიკიდან წასვლა.

„გერმანული პოლიტიკიდან გარიყული და გაგდებული ადამიანი ქართულ პოლიტიკაში რომ გვეტენება და ერთი რამით არის დაკავებული, როგორმე ქართველები დააპირისპიროს ერთმანეთს, ლანძღოს ჩვენი ეკლესია, ვინც მას ჩაეხუტება, ერთადერთ რამეს აჩვენებს, იზიარებს იმ მორალს, შეხედულებებს თუ პრინციპებს, რომელიც მას აქვს, დააპირისპიროს ხალხი და ჩამოაგდოს შუღლი ადამიანებს შორის“, – განაცხადა პაპუაშვილმა.

## დიმიტრი ხუნდაძე: ეს არის მონობის კლასიკური მაგალითი!

**„დღეს მმართველი გუნდი, მიუხედავად მასშტაბური ზეწოლისა, უდიდესი თმენით იცავს სამშობლოს რეალურ დამოუკიდებლობას, აგენტურული ოპოზიცია კი დაკვეთილი პერფორმანსებით და უკადრებელის კადრებით, ქვეყნის სხვაზე დამოკიდებულებისთვის იბრძვის. ისინი უსმენენ არა საკუთარ ხალხს, არამედ მისჩერებიან სხვა ქვეყნის პოლიტიკოსებს, რომელთა უმეტესობას საკუთარ ქვეყანაში ვერ მოუგვარებიათ პრობლემები. სწორედ ეს არის მონობის კლასიკური მაგალითი. როცა მთლიანად სხვაზე დამოკიდებული ხდები და საკუთართან თავად გაბრძოლებენ.**

საკუთარი რწმენისა და პატრიარქის შეურაცხყოფა, ქართველი კაცების სატელეფონო გადაღების ქვეშ, დედისა და ოჯახის გინება, ღვინოში შარდის ბუშტის ჩაცლა და სტუმრის ულუფაში ჩანერწყვება, გმირ პოლიციელებზე თავდასხმა, ოჯახური ფასეულობების დაცვის რუსულად შერაცხვა არ არის ქართული და სირცხვილია.

ქართველობაზე მეტად საამაყო კი ვერასოდეს ვერ იქნება ვერანაირი უცხო ტომთა ერთობა, რომელი მხარეც არ უნდა იყოს ის. საკუთარ წეს-ჩვეულებებს ვერასოდეს ჩაანაცვლებს სხვისი, იმიტომ რომ ის ჩვენი არ არის. დაიცავი შენი და თავად იქნები დაცული!“ – წერს პარტია „ხალხის ძალის“ გენერალური მდივანი დიმიტრი ხუნდაძე.

## ბიძინა გიორგობიანი: ნაციონალური მოძრაობა როცა ხელისუფლებაში იყო, პატიმრებს დაკითხვების დროს აფურთხებდნენ სახეში

**„ბრალდან მართულია ეს პროცესი, გარედან მართულები არიან ეს პარტიები, რომლებიც განგრძობით დანაშაულს ჩადიან ქვეყნის წინაშე. მაშინ, როდესაც ხელისუფლებაში იყვნენ 2004-2012 წლებში, მაშინ სხვა მეთოდებით სჩადიოდნენ ამ დანაშაულს და რაც ოპოზიციაში არიან სხვა მეთოდებით. განსხვავება რაშია? განსხვავება ისაა, რომ როდესაც მათ ჰქონდათ საშუალება, რომ ესროლათ პარლამენტისთვის, პირველი პარლამენტისთვის გვესროლეს. პეჩორის დივიზიის ხალხი ჩამოიყვანეს, მფრინავი ღამურები, ტანკები, ზემოდან მფრინავებიც გვესროდნენ, ჩამოაგდეს ბენზინით სავსე ხუთტონიანი ცისტერნა და ა.შ. ეს იყო ომი. გადამწვარი იყო მთელი თბილისი, მათ ამის საშუალება ახლა არ აქვთ, მაგრამ სიმბოლურად პიროტექნიკას მაინც ისვრიან, რომ დაწვან ის რამენაირად. როდესაც ხელისუფლებაში იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ხალხი, „ნაციონალური მოძრაობა“ იმათი შთამომავლები იყვნენ, ვინც თბილისში მოახდინა სამხედრო გადატრიალება. „ნაციონალური მოძრაობა“, როდესაც ხელისუფლებაში იყო, პატიმრებს დაკითხვების დროს აფურთხებდნენ სახეში. ახლა ამას ვეღარ შვრებიან და ისვრიან კვერცხებს და მოუწოდებენ მზარეულებს რესტორნებში, რომ იგივე გააკეთონ.**

ხელისუფლებამ რომ იმათ რამე დაუთმოს, ისინი დათმობად კი არ აღიქვამენ ამას, ისინი მიყიდიან თავის ნერვული პარალიზებად მოწამლულ ამომრჩევლებს, რომლებიც ჰყავთ სამწუხაროდ, მიყიდიან რომ ჩვენ დავაჩოქეთ ხელისუფლება და ეს დავათმობინეთ“, – განაცხადა ბიძინა გიორგობიანმა.

# კვირის ციტატები

## დავით ქართველიშვილი:

## დასავლეთიდან კარნახი უნდა დასრულდეს

**„ეს ჩვენი „პეროვნებები“ რატომ ხარობენ იცით? ჰგონიათ, რომ ტრამპი საქართველოს გარდა, სხვა ყველა ქვეყანაში თავის დღის წესრიგს დაამყარებს,“ – განაცხადა მედიასთან საუბარში პარტია „ხალხის ძალის“ წევრმა დავით ქართველიშვილმა.**

მისივე თქმით, საქართველოში განსაკუთრებით ელიან ტრამპის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას, თუ ვინ იქნება დანიშნული საქართველოში ამერიკის ელჩად და სამხრეთ კავკასიაში სახელმწიფო დეპარტამენტის კურატორად.

„**დონალდ ტრამპმა** წინასაარჩევნო კამპანია შემდეგი განცხადებით დაიწყო – მე ამერიკა კვლავ უნდა გავხადო დიადი. ეს განცხადება კი ბევრ რამეზე მიანიშნებს. 2026 წელს ამერიკას, როგორც სახელმწიფოს 250 წელი უსრულდება. ჩემი აზრით, 4 ივლისს ამერიკაში იქნება გრანდიოზული, აქამდე არნახული დღესასწაული.

ამერიკის სახელმწიფოებრიობის 200 წლისთავი 1976 წელს აღინიშნა. მაშინ ამერიკას ჰყავდა ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მმართველი – ჯერალდ ფორდი. მან რიჩარდ ნიქსონისგან უმძიმესი შთამომავლობა მიიღო, რის გამოც წარმატებას ვერ მიაღწია. სწორედ ასეთი უმძიმესი შთამომავლობა ერგო წილად დონალდ ტრამპს გაიდენისგან. თუმცა ტრამპი ყველაფერს დაძლევს, ეს მისი პრინციპის საკითხია. დავესესხები დავით მაღრაძეს – **ეს ჩვენი „პეროვნებები“ რატომ ხარობენ იცით? მათ ჰგონიათ, რომ ტრამპი საქართველოს გარდა, სხვა ყველა ქვეყანაში თავის დღის წესრიგს დაამყარებს. საქართველოს ეგზარქოსი და პრეზიდენტი მაინც ჯო უილსონი იქნება, შიდა მოხმარების პრეზიდენტი კი სალომე ნავანელი, ანუ ჩვენი ზურაბიშვილი. ამაში 100%-ით დარწმუნებულები არიან.** ის რითაც მეთიუ მილერებმა ტვინი წაგვიღეს ყოველდღე – გააუქმე ის, შეცვალე ეს, დანიშნე ის და ა. შ უნდა ჩაბარდეს წარსულს.

ჩვენ ყველანი ველოდებით არამხოლოდ 20 იანვარს. ჩვენთვის საინტერესოა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან ვინ იქნება დანიშნული ელჩად საქართველოში და სამხრეთ კავკასიაში სახელმწიფო დეპარტამენტის კურატორად. მასთან უნდა დავამყაროთ ძალიან კარგი, თბილი, ტრადიციული, კონსერვატიული ურთიერთობები. ისეთი, როგორც ტრამპს და მის გუნდს გაუხარდება. მე ამაში დარწმუნებული ვარ.“

## იაგო ხვიჩია: არცერთი ლიდერი ციხეში არ ზის, დამალულები არიან!

**„ბირჩის“ ერთ-ერთმა ლიდერმა იაგო ხვიჩიამ საქართველოს პირველი არხის გადაცემაში „აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“ განაცხადა, გუშინ რომ ხალხი მიუვარდა მოსამართლეს და დღეს რომ იგივე მოსამართლე ასამართლებს, თავისი შინაარსით ეს რამდენად ნორმალურია?**

...ან კიდევ, ლიდერები მოუწოდებდნენ, აბა ხალხო, მიაწექით, აგერ ვართო და თვითონ დამალული არიან. არც ერთი პოლიტიკური ლიდერი ციხეში არ ზის, ვინც მანამდეც არ იჯდა. ხალხი ციხეში ზის ამ მოწოდებების გამო და ეს ხალხი არის გამქრალ-დამალული. თან, ეს გაქრობა და დამალვა რატომღაც, ღირსებად ეთვლებათ. აი, ეს მაწუხებს მე...

# მშვიდობა გურიას და სრულიად საქართველოს!

**...უპირველეს ყოვლისა, კალანდას ვულოცავ გურიას და სრულიად საქართველოს. მშვიდობა ყოფილიყოს ჩვენს გულებში, ოჯახებსა და სამშობლოში. 2025 წელი ყოფილიყოს სიკეთის, კეთილდღეობის, ჩვენი ქვეყნის გამთლიანების მომტანი წელი. მინდა, მთელ საქართველოს მივულოცო შობა-ახალი წელი. ბედნიერება ყოფილიყოს თითოეული ჩვენი თანამოქალაქის გულში, – აღნიშნა შალვა პაპუაშვილმა.**

სახალხო დღესასწაულზე პარლამენტის თავმჯდომარე დეპუტატებთან ერთად ტრადიციულ საკალანდო რიტუალს დაესწრო.

ოზურგეთში, სოფელ შემოქმედის ეთნოგრაფიულ ეზოში ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა გაიმართა.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მიწვეული სტუმრები.

ღონისძიება კონცერტით და ფოიერვერკით დასრულდა.

## მიხეილ ყაველაშვილი:

## ჩვენი ქვეყნის ხუთჯვრიანი დროშა არა მარტო სახელმწიფოებრიობის, არამედ ეროვნული ცნობიერების, სიამაყის, პასუხისმგებლობის და ჩვენი თავისუფლებისთვის ბრძოლის თვალსაჩინო განსახიერებაა



**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი მოქალაქეებს საქართველოს სახელმწიფო დროშის დღეს ულოცავს.**

„საქართველოს სახელმწიფო დროშის დღეს ვულოცავ ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს!

საქართველოს ხუთჯვრიანი ეროვნული დროშა არის ჩვენი თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და სიმტკიცის უმთავრესი ეროვნული სიმბოლო.

ჩვენი ქვეყნის ხუთჯვრიანი დროშა არა მარტო სახელმწიფოებრიობის, არამედ ეროვნული ცნობიერების, სიამაყის, პასუხისმგებლობის და ჩვენი თავისუფლებისთვის ბრძოლის თვალსაჩინო განსახიერებაა.

ყველას გილოცავთ დღევანდელ დღეს!

ჩვენს სამშობლოს ვუსურვებ მშვიდობას, ერთიანობას და ეროვნულ სიმტკიცეს“, – წერს სოციალურ ქსელში პრეზიდენტი.

შეგახსენებთ, რომ 14 იანვარს საქართველოს სახელმწიფო დროშის დღე აღინიშნა.

# ნამახვანჰესი ქართველმა ხალხმა უნდა ააშენოს!

## საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი კობახიძეს

**ბატონო პრემიერო!**

როგორც საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, კომპანია „ენკამ“ საერთაშორისო არბიტრაჟში საქართველოს 383,2 მილიონი დოლარი მოიგო.

თქვენთვის და ჩვენი ხალხისთვის კარგად არის ცნობილი, რომ კომპანია „ენკას“ უნდა აეშენებინა ნამახვანჰესი, რასაც ეწინააღმდეგებოდა „რიონის ხეობის დამცველები“ და... სხვებიც.

მათ მიერ პარლამენტში გამოგზავნილი კოლექტიური საჩივრის საფუძველზე პარლამენტის ორი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე მოეწყო ნამახვანი ჰესის პროექტის განხილვა, რასაც ესწრებოდნენ „რიონის ხეობის დამცველები“.

სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად განხილვაში მონაწილეობდა ამ წერილის ავტორიც.

„რიონის ხეობის დამცველებს“ არ ჰქონდათ ერთმანეთთან შეთანხმებული პოზიცია, ზოგი მოითხოვდა, ჰესი საერთოდ არ აშენებულიყო, ზოგი რაღაც პირობებით აშენების მომხრე იყო.

პროექტის განხილვისას ჩემი, როგორც პროფესიონალი ჰიდრომშენებლის, აღშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ჰესის მახასიათებლები ხელოვნურად იყო გაზრდილი: პროექტის მიხედვით მდინარე რიონზე, 100 მეტრის დაწნევის პირობებში, ნამახვანჰესის სიმძლავრე 400 მგვტ იყო! 3-ჯერ და მეტად სიმძლავრის მომატება, ყოველგვარი გაანგარიშების გარეშე, ნათლად მიუთითებს „ენკას“ განზრახვას, სიმძლავრის ხელოვნურად გასამმაგებით გაზარდონ ჰესის ღირებულება, გააჭიანურონ ჰესის ექსპლოატაციაში გაშვება, გაძარცვონ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა. ასეთი მიზნით ჰესის მშენებლობის დაწყება არის უმძიმესი დანაშაული, რის გამოც ჩვენმა ქვეყანამ უნდა უჩივლოს „ენკას“.

ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელმაც შეისწავლა პროექტი, განაცხადა, რომ ასეთი პროექტით ჰესი არ აშენდებოდა.

მიგვაჩნია, რომ ბატონი ღარიბაშვილის მიერ ჰესის მშენებლობის შეჩერება მნიშვნელოვანი მამულიშვილური ნაბიჯი იყო.

რადგან ნამახვანჰესი მაინც უნდა აშენდეს, ჰიდრომშენებელთა ჩვენს ჯგუფს სურვილი გვაქვს, წარმოგიდგინოთ ნამახვანჰესის ახალი, რეალური, გაცილებით იაფი პროექტი, რომლის პრეზენტაცია უნდა მოხდეს თქვენი თავმჯდომარეობით მინისტრთა კაბინეტის წინაშე.

ასეთი პროექტების წარმოდგენა შეუძლიათ ჰიდრომშენებელთა სხვა ჯგუფებსაც.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ ნამახვანჰესის მშენებლობას დააფინანსებს მხოლოდ ქართველი ხალხი სააქციო საზოგადოების დაფუძნების გზით. პროექტით გაანგარიშებული იქნება ერთი აქციის ღირებულება და აქციის მფლობელის ყოველთვიური შემოსავალი როგორც სახელმწიფოსათვის ისე, აქციის მფლობელისთვის მეტად მომგებიანი იქნება, თუ ნამახვანჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია გაიგზავნება ექსპორტზე.

თქვენთვის და არამარტო თქვენთვის, კარგად არის ცნობილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ ეტაპზე ჰესის მშენებლობას ჩვენი ხალხის მიერ საკუთარი დანაზოგებით, მითუმეტეს რომ ეს უფლება ჩვენს ხალხს კონსტიტუციით აქვთ გარანტირებულად. მინიჭებული!

ჩვენ მიერ მოპოვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნამახვანჰესის მახასიათებლებია:

საანგარიშო ხარჯი $Q$=134 $მ^3$/წმ.

დაწნევა – $H$ = 100 მ

სიმძლავრე – 131 მგვტ.

გამომუშავება – 759 მილიონი კვტსთ.

წყალსაცავში დაგროვილი წყალი გამოყენებულ უნდა იქნეს შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, რის გამოც გამომუშავება გაეზრდებათ რიონჰესებს, გუმათჰესებს და ვარციხჰესებს.

პატივისცემით
**ნუგზარ კობახიძე,**
**დამოუკიდებელი ექსპერტი ჰიდრომშენებლობაში.**
**(599-74-82-53)**

# ე. ი. თქვენ თავში გველი გყავთ, თანაც, კობრა?“



**პირველი ორი პუბლიკაციის შემდეგ არ მეგონა, რომ მესამე გახდებოდა საჭირო. როგორც ჩანს, რაღაც ვერ გავითვალე. შესაბამისად, გადავწყვიტე შევკრა „ტრილოგია“, ხოლო მესამე ჯერზე მეტი კონკრეტიკა შევიტანო ნააზრევში. ნებისმიერი საკითხის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა, შეირჩეს ათვლის წერტილი, საიდანაც მსჯელობას დავიწყებთ.**

## ამბავი პირველი: ათვლის წერტილი

**ჩვენი** ქვეყნის სამიათასწლოვანი ისტორიიდან ასეთ წერტილად ნებისმიერი მოვლენა შეიძლება გამოდგეს. ვინაიდან დღევანდელობას განვიხილავთ, ასეთი წერტილი ბოლოდროინდელი მოვლენებიდან უნდა შევარჩიოთ. უკანასკნელ ათწლეულში მრავალი რამ გადაგვხდა თავს – ომები, პანდემიები და კიდევ რამდენი ასეთი. საბოლოოდ ჩამოვყალიბდი, საწყისად ამერჩია ე. წ. **„გავრილოვის ღამე“,** რომელსაც არაფრით მიესადაგება აღნიშნული სახელწოდება, ამ მოვლენას სხვა სახელი შევურჩიე და ამიერიდან ყოველთვის ასე მოვიხსენიებ –

## ამბავი მეორე: „რადიკალების დილის სიზმარი“

**ამჟერად** მხოლოდ მოვლენებს შევეხები, თარიღები აღარ მახსოვს და არც დაზუსტებაზე დავკარგავ დროს. რა მნიშვნელობა აქვს თარიღს, მთავარია ამბავი, რომელიც ნამდვილად მოხდა ახლო წარსულში. კარგად მახსოვს დილა, როცა ღონისძიება იმართებოდა პარლამენტში, როგორ აძვრა რუსეთის წარმომადგენელი პოდიუმზე და ჩასკუპდა სპიკერის სავარძელში... აი, აქ დაიწყო, რაც დაიწყო... რამდენიმე ქართული წარმომავლობის რადიკალი, შეიარაღებული დროშებით, ტრანსპარანტებით აიჭრა სცენაზე და ვიხილეთ უნიჭო პერფორმანსი – ყალბი აღშფოთება, ვითომ პატრიოტიზმი, ჰეროიკული გამომეტყველება, ეს იყო სიყალბის და თვალთმაქცობის მანიფესტაცია... თურმე, აღნიშნულ აქტორებს დილით, უზმოზე, უნახავთ სიზმარი, სადაც გავრილოვი უნდა აჭრილიყო სცენაზე და ჩამხტარიყო სპიკერის სავარძელში, თუ ვინმეს სჯერა ხილვების და მჩხიბავების, შეუძლია მშვიდად განაგრძოს არსებობა. მე კი ვფიქრობ, რომ არსებობდა სცენარი, რომელიც წინასწარ გააცნეს და შეათანხმეს ხსენებულ აქტორებთან, მათ კი უნიჭოდ შეასრულეს დავალება. იმედია, არავინ იკითხავს, სად შედგა შეთანხმება და ვისთან... პროვოკაციას მოჰყვა არეულობა, გაბრიყვებული ადამიანების აგრესია და ის ზიანი, რაც ყველა მხარეს მიადგა. ამ ყოველივეს გათვალისწინებით მოვლენას, რომელიც განვიხილეთ, უნდა ეწოდოს „რადიკალების დილის სიზმარი“ და არა უნიჭოდ მოფიქრებული – „გავრილოვის ღამე“.

## ამბავი მესამე: „რუსული კანონი“

**შემდეგი** მოვლენა, რომელსაც მღელვარება უნდა გამოეწვია, იყო კანონი – უცხოური გავლენის შესახებ, რომელიც ასევე უნიჭოდ „რუსულ კანონად“ შემოგვასაღეს. აქ ვგულისხმობ კანონის მეორედ შემოზრუნების ეპიზოდს. აბსოლუტური უაზრობა და სიგიჟე. ქართულმა პარლამენტმა ქართული შრიფტით ქართულ ენაზე მიიღო კანონი, რომელსაც „ტოპ-ტვინებმა“ რუსული უწოდეს, ისევ და ისევ ტემპერატურის ასაწევად. თურმე კანონით, რომელიც გააკონტროლებდა გიგაურლომჯარიას, ქურდოვანიძე-დოლიძის და სხვა გოგო-ბიჭების ფინანსურ გამჭვირვალობას, ყოფილა „რუსული“. ფული, რომელსაც ქვეყანა უნდა ჩამოექცია, ეს გოგო-ბიჭები კი გაემდიდრებინა, არ უნდა გვცოდნოდა, ვისგან და რა რაოდენობით მოედინება...

## ამბავი მეოთხე: „აურზაური არაფრის გამო“

**ასე** მოვედით დღევანდელ დღემდე, ჯანჯღარით და რყევით, ჩატარდა არჩევნები, იყო მაღალი აქტივობა, ხმები განაწილდა, როგორც განაწილდა. „ტოპ-ტვინებმა“ იზეიმეს გამარჯვება, შეივსო და შეისვა „ბოკალები“, არავითარი წინააღმდეგობა. მხოლოდ ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ აირია მონასტერი, ეგრე არ იქნება, ჩვენ კი ვიცით, რაც მივიღეთ, მაგრამ მეტი უკეთესიაო. ბოლოს, მიზეზები რომ გაუხუნდათ, საბაბზე გადავიდნენ – ევროპული გზიდან გადავუხვიეთ, ქუდზე კაცია და სიგიჟე. ოცდათხუთმეტი დღე ქუჩებში არბენინებენ ანგაჟირებულ მომხრეებს, ვერაფრით გავარკვიე, რას აპროტესტებენ, არავის გაუჩნდა კითხვა – კონსტიტუციიდან ამოიღო ვინმემ მუხლი ევროპული კურსის შესახებ, თუ არა. თუ ისევ იქაა – გამოდის, რომ უახლოესი ოთხი წელი ვერავინ შეეხება, სიტყვით ვინც რა უნდა თქვას. მით უფრო, როცა სიტყვითაც არავის გამოუთქვამს მსგავსი რამ. ე. ი. რა გამოდის? ეს ხალხი ქუჩებში გარბის ყოველ საღამოს და აპროტესტებს რას? **ჰაერს, სიცარიელეს, სიგიჟეს და საბოლოოდ არაფერს!..**

მოკლედ, ნამდვილი სიგიჟეა. რა დროს აღარ გვყავს ბ-ნი ავლიპი, აი, ის დასვამდა საინტერესო დიაგნოზს...

„ე. ი. თქვენ ამტკიცებთ, რომ თავში გველი გყავთ, თანაც, კობრა?“

## ამბავი მეხუთე: „ტოპ-ტვინები“

გაყალბების მრავალი მეთოდი გამიგია – კარუსელი, გაჟონვა, დაშინება, ხახვი და კარტოფილი, მოსყიდვა. მეც მაქვს ერთი მოსაზრება და ამ მოსაზრებასაც აქვს არსებობის უფლება. ბოლოს და ბოლოს, მე ასე მჯერა და მწამს. მგონია, რომ რადიკალებმა ასე, ორასი ათასი ხმა იყიდეს. რა იძლევა ამის თქმის საფუძველს? ჯერ ერთი ის, რომ არ მგონია ქვეყანაში – ვირეშმაკა, სნობი, მოღალატე და გონებაშეზღუდული – ნახევარ მილიონზე მეტი ცხოვრობდეს, მათ კი ორასი ათასით მეტი ხმა აიღეს!

ახლა თანხის წარმომავლობაზე ვთქვათ – რადიკალებში არის „ტოპ-ტვინი“ ქარუმიძე, არა, მეტი ჰყავთ, ასე ექვსი-შვიდი ცალი კიდევ. ჰოდა... ამ „ტოპ-ტვინმა“ რამდენიმე ხნის წინ ორ ქართულ ბანკს მოუწოდა, რაღაც ფონდში თანხები ჩაერიცხათ თან გაუბრაზდა – ხუთი მილიონი რაა, თქვენი შესაძლებლობებით, ორასი მილიონიც კი შეგიძლიათ გაიღოთო!.. თუკი ასეთი თანხის გაღებას რაღაც თაღლითური ფონდისთვის ითხოვენ, რატომ საარჩევნოდ არ მოითხოვდნენ, თუნდაც – ამდენივეს. ბუნებაში ყველაფერი დათვლადია, აბროვნებაც კი, მეც გამოვთვალე, ათასი ლარის გადახდის შემთხვევაში, ორასი მილიონი, ზუსტად ყოფნის ორასი ათას ხმას.

დაილოცოს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, დაჯდება „ტოპ-ტვინი“ რომელიმე „ტოპ“ ჟურნალისტთან, ილაყბებს ერთი საათი და გაშიფრავს სქემებს. შენ კი, უსმენ ამ „ტოპ-ტვინს“ და საინტერესო მიგნებებს აკეთებ...

## ამბავი მეექვსე: „სალომეა, წადი სალობიეში!“

**საოცარი** რამეები ხდება ცხოვრებაში. ქალი, რომელიც პრეზიდენტად „მოეწყო და მუშაობს“, ყველაზე ლეგიტიმურად მიაჩნია ხალხს, რომელმაც ხუთი წლის წინ ლობიოს ლეგიტიმურად ჭამა არ აცალა „სალობიეში სტუმრებთან მყოფ სალომეას. სირცხვილის „კორიდორი“ მოუწყვეს და ლამის ქოთნებით გაატარეს აღნიშნულ დერეფანში. ნუთუ აღარ ახსოვთ? ამიტომ აღარაფერს ვამბობ სხვა მრავალ დანაშაულზე და თუ გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის „– სალომეა, წადი სალობიეში“.

## ამბავი მეშვიდე: „სინოპტიკოსი მიტუა“

**უდიდესი** მნიშვნელობა აქვს, როდის ამბობ სათქმელს. იქნებ ადრე ჯობდა, მაგრამ როგორც მოვლენათა განვითარება გვაჩვენებს, ყველაფერი ისე მიდის, როგორც ივარაუდებოდა. ერთ მხარეს რჩებიან გაბრიყვებულები, მეორე მხარეს – მათი გამბრიყვებლები, რომლებიც ყოველთვის საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ... ასე იქნება ამ ჯერზეც.

მე მხოლოდ რჩევის მიცემა შემიძლია, ეს რჩევა ეკუთვნით ვირეშმაკებს, სნობებს, თაღლით ანგაჟირებულებს და არამც და არამც გულწრფელ ამქვეყნიერებს, რომლებიც თვითონვე მიხვდებიან, რაში გაებნენ. რჩევა კი შემდეგში მდგომარეობს – როგორც იტყობინება სინოპტიკოსი მიტუა, შემდეგი დეკემბერ-იანვარი ორჯერ ცივი და მკაცრი იქნება, ვიდრე ახლანდელი. ამიტომ დღესვე დაიწყონ თბილი ტანსაცმლის და კოქტეილების მოგროვება. შეესიონ ქუჩებს, იკადრონ უკადრებელი, იქნებ, შემდეგ ჯერზე მაინც გამოუვიდეთ რამე...

რაც შეეხება ახალ წელს, ყველას ვულოცავ, გონიერს და უგონოს. განსაკუთრებით კი იმ პატარებს, რომლებიც საახალწლო ნაძვის ხეებს არ მიაკარეს რადიკალ-ოკუპანტებმა!

**მერაბ ხვიჩია,**
**2025 წ. იანვარი**

**მოვლენას უნდა ეწოდოს „რადიკალების დილის სიზმარი“ და არა უნიჭოდ მოფიქრებული – „გავრილოვის ღამე“.**

**მოვლენა, რომელსაც მღელვარება უნდა გამოეწვია, იყო კანონი უცხოური გავლენის შესახებ, რომელიც ასევე უნიჭოდ „რუსულ კანონად“ შემოგვასაღეს.**

# მწყემსი კეთილი

## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს!

**თქვენო უწმინდესობავ, ჩვენი ქვეყნისთვის ურთულეს, დაძაბულ და უმნიშვნელოვანეს პერიოდში მოგიწიათ ყოფილიყავით სრულიად საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმპყრობელი და ქართველი ერის უპირველესი სულიერი მოძღვარი.**

თქვენი აღსაყდრებიდან გავიდა 47 წელი, რომელიც ქვეყნის განვითარების ყველა სფეროში უდიდესი გამოწვევებით იყო აღსავსე, იობის მოთმინებით გაუძელით ქვეყანაში შექმნილ არაორდინარულ ვითარებას, შიდა და გარე ობსტრუქციული ძალების შემოტევას, რომლებსაც სურდათ და დღესაც სურთ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დაშლა-გახლეჩა და საპატრიარქოს ხელში ჩაგდება. თქვენი წინდახედულობით და შორსმჭვრეტელობით წმინდად ატარეთ პირველი იერარქის მძიმე ჯვარი, თქვენი 92-წლიანი ცხოვრების მანძილზე უზარმაზარი ინტელექტუალური და სულიერი ენერგია მოახმარეთ ქართველი ერის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის შემოგრუნებას დედაეკლესიისაკენ.

თქვენ ცხოვრობთ ერის ცხოვრებით, ხართ იქ, სადაც ერს ყველაზე ძალიან უჭირს.

თქვენი უაღრესად დროული გადაწყვეტილება და ერის გადარჩენის უპირველესი საზრუნავი იყო ყოველი მესამე და შემდგომი ახალდაბადებულის ნათლობა. ამ კეთილშობილმა ნაბიჯმა ასობით გოგო-ბიჭი შემატა ჩვენი ერის გენოფონდს.

თქვენი გრძნული რჩევებით და ქადაგებებით ერს აძლევთ სამოქმედო პროგრამას, თუმცა ბევრჯერ ვერ შევისმინეთ და საკადრისად მოგვეზღო.

დაუვიწყარია თქვენი თავგანწირული მოქმედება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ხუთდღიან ომში ცხინვალში დაღუპული ქართველი ვაჟკაცების გადმოსვენების საქმეში.

სიამაყეა ისიც, რომ არაერთი ავტორიტეტული ორგანიზაციების კვლევების საფუძველზე რჩებით ქართველთათვის სათაყვანებელ უპირველეს პიროვნებად.

მაშინ, როცა ყველაზე ძალიან გაუჭირდა ქართველ ერს, განაცხადეთ – როგორც არასდროდ ერის გადარჩენაში და განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული გვარების ერთსულოვნებას და სამშობლოსათვის საკეთილდღეო საქმიანობაში ჩაბმას.

თქვენი ეს გრძნული შეგონება თითოეულმა ქართველმა გულისფიცარზე უნდა დავიწეროთ და როგორც ჯვარი საფიცარი უნდა ვზიდოთ, როგორც მაცხოვარმა ზიდა გოლგოთამდე.

საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის წევრებმა მიზნად დაისახეს, თქვენი დარიგება პრაქტიკული მოქმედებებით განახორციელონ.

ქართული გვარების შეკავშირება-გამთლიანებისათვის ძირითად ამოცანად დაგვისახეთ, თითოეულმა გვარმა იზრუნოს სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მისი ძლიერებისათვის და მამულის წინსვლისათვის, ეს ჩვენი უპირველესი ამოცანაა.

სრულიად საქართველოს ქართული გვარების წინამძღოლთა დარბაზი უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ აღსაყდრების 47 და დაბადების 92 წლის იუბილეს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. თქვენი ლოცვა და კურთხევა არ მოჰკლებოდეს ქართველ ერს.

**სრულიად საქართველოს ქართული გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობა**

---

# წარმატებულ წარსულს მომავალიც ღირსეული უნდა!

**ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობის გმირის – ხევისბერი გოჩას შვილისადმი ნათქვამი სიტყვები „არ დაგავიწყდეს, ვისი გორისა ხარ“?! კარგახანია აფორიზმად იქცა თითოეული ქართველის ცნობიერებაში. გვარიშვილობა, ოჯახიშვილობა, სახლიშვილობა თითოეული გვარისათვის უმთავრესი ძარღვია და ამ უზენაესი ჭეშმარიტების დაცვისთვის საქართველოს მრავალრიცხოვან გვარებთან ერთად იბრძვის და ზრუნავს დემურაძეების არცთუ მრავალრიცხოვარი გვარი, რომელიც ჯერ კიდევ 2015 წლის 2-აგვისტოს დალოცა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. გვარის დალოცვა დაემთხვა წმინდა ილია თეზბიტელის და წმინდა ილია მართლის (ილია ჭავჭავაძის) ხსენების დღეს.**

მას შემდეგ კეთილ ტრადიციად დამკვიდრდა დემურაძეების გვარის ყოველწლიური შეკრება თავიანთ ძირძველ სოფელში – ტანძიაში, რომელიც ქვემო ქართლში ბოლნისის მუნიციპალიტეტში მდებარეობს.

დემურაძეების გვარი მცირერიცხოვანია, საქართველოში 300-მდეა და შემთხვევითი არც ისაა, რომ გვარიშვილების ერთმანეთთან კავშირი და ურთიერთობა უცხო ნამდვილად არ არის, ამიტომაც ლხინსა და მწუხარებასაც ერთად იზიარებენ. ახლა კი, გადაწყვეტილი აქვთ, იუსტიციის სამინისტროს მიაკითხონ და საგვარეულო კავშირი შექმნან, გვარში არსებული პრობლემები ერთობლივი მოქმედებით მოაგვარონ.

თავკაცთა მონდომებით დაიწერა საგვარეულო ხატი, რომელიც დაბრძანდებოდა და დღესაც დაბრძანდება დემურაძეების ოჯახებში, ხატის წინაშე აღევლინება ლოცვები.

ყოველწლიურად გვარიშვილები იკრიბებიან მამაპაპეულ სოფელ ტანძიაში, შეძლებისდაგვარად ეხმარებიან სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

გვარის უხუცესების გადმოცემით დადგენილია დემურაძეების წარმომავლობა. როგორც ირკვევა, გვარი ტაო-კლარჯეთიდან მომდინარეობს. გვარის წინაპრები ლაზები ყოფილან. შუა საუკუნეებამდე, როდესაც ქართველი მეფეები ვეღარ აკონტროლებდნენ ტაო-კლარჯეთს, დემურაძეების გვარის წინაპრები სამხრეთიდან წამოსულან, ნაწილი – აჭარაში, ხოლო ნაწილი სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში დასახლებულან. ამჟამად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, მაჭახელას ხეობაში, სოფელ გოშპარეთში, აჭარის აღმართზე ცხოვრობენ. უხუცესების გადმოცემით, გვარის პირველი წარმომადგენელი ხასან დემურაძე ყოფილა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში დემურაძეები სახლობენ ბოლნისში, ტანძიაში, რუსთავში, თელეთში, თბილისში, კაზრეთში და სხვაგანაც.

დავით დემურაძე (საგვარეულოს თავკაცი) მეუღლესთან ერთად.

ისტორიკოს ლევან ბერაიას მოკვლეული მასალებიდან ირკვევა, გვარის პირველი წარმომადგენლები 1557 წელს ერთ-ერთ სიგელში მოიხსენიება დღევანდელ ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვენაფლევის ტერიტორიაზე, ხოლო 1690-1692 წლების სიგელში მეფე გიორგი XI-ს ახლანდელი დემურაძისთვის და მისი ძმების დამსახურებისთვის საჩუქრად უბოძებია დმანისის სოფელი თავდიდიანი, რომელიც ბალიჭის ხევის მარცხნივ მდებარეობს. აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრებლები ,,მეწინავე“ სადროშოს შემადგენლობაში შედიოდნენ.

დემურაძეების გვარის 70-ზე მეტი წარმომადგენელი იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში, მებრძოლთა ნახევარზე მეტი დაიღუპა.

გვარის წარმომადგენელი აბრამ დემურაძე ზეგანის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელმსახური იყო.

დემურაძეების გვარში საკმაოდ წარჩინებული ადამიანები შრომობენ განათლების სფეროში, სამართალდამცავ და საფინანსო უწყებებში, ჰყავთ ინჟინრები, წარმატებული სპორტსმენები, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების წარმომადგენლები. ცხენოსანი ირაკლი დემურაძე საცხენოსნო კლუბს ხელმძღვანელობს ბოლნისში. მხატვარ-ხატმწერმა კახაბერ დემურაძემ დაწერა წმინდა კეთილმსახური მეფის წმინდა დავით აღმაშენებლის საგვარეულო ხატი. ვეფხო და მალხაზ დემურაძეები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აქტიურად იბრძოდნენ აფხაზეთის ომში.

**P. S.** ადრეც ვწერდი და ახლაც მინდა, გავიმეორე, მცირერიცხოვან გვარში საგვარეულო დარბაზს გევრად მეტი სიკეთის გაკეთება შეუძლია, ვიდრე მრავალრიცხოვან გვარს. დემურაძეების გვარის ხელმძღვანელობას მინდა, ვურჩიო, გვარის მუშაობის გააქტიურებისათვის კარგი იქნება, თუ მოიზიდავენ ახალგაზრდებს, რაც უფრო მრავალფეროვანს გახდის მათ საქმიანობას.

**ვალერიან ლომიძე,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

# საქართველოს ბედისწერა

## ყოჩაღ, ქალო, საქართველოსთვის ვამპირად მოვლენილო!

**ARSEBOBS MRAVALI TEORIA, ROMELIC QVEYNISA DA XALXIS BEDS UKAVSHIREBS MIS TERITORIAS. IGI BEVRS GVETYOVDA SAQARTVELOS BEDISWERAZEC, MAGRAM ARA YOVELIVES, RADGAN TERITORIIS XELSHI CHAGDEBIT ARA KMAYOFILDEBODNENI AGRESIULI DIDI SAXELMWIFOEBI, ARAMED CDILOBDNENI QARTVELEBSHI MATI RWMENIS DAMKVIDREBAS DA QRISTIANOBIS GANDEVNAS, RASAC MOITXOVDA JER AGRESIULI MAZDEANURI (CECXLTMAYVANISMCEMELI) SPARSETI, XOLO SHEMDEG KIDEV UFRO AGRESIULI ISLAMI, RAC KARGAD ICIS SAQARTVELOS ISTORIIS MCODNEM ARABEBIS, JALALI ED-DINIS, TEMURI-LENGIS, OSMALEBISA DA SPARSELEBIS SAQARTVELOSHI LASHQROMEBIS MIXEDVIT.**

AM DROS QARTLIS SAMEFOSHI SPARSELEBIS GVIANDELI BATONOBIS PERIODSHI, ROMELSAC QARTLIS MEFE IYO GAMAJHMADIANEBULI ROSTOM-XANI (1632-1658 W.W.), QARTLIS SAMEFO INARCHUNEBDA SHINAGAN AVTONOMIAS, ENAS, KULTURASA DA SARWMUNOEBAS. AM DROS, SHEIDLEBA ITQVAS, RAC CHVENI ISTORIKOSEBIS MXRIDAN ARAERTGZISAA NATQVAMI, SWORED QRISTIANOBAM SHEUNARCHUNA QARTVELEBS TAVIANTI TAVISTAVADOBA, AR GADASXVAFERDNEN (GADARJULDNEN) DA AR DAEMSGAVSNEN MEZOBELI MAJHMADIAN EREBS.

MXOLOD ORI AGRESORI AR EBRZOLDA SAQARTVELOSHI QRISTIANOBAS: MONGOLEBI DA RUSETI. MAGRAM MATI SHORISAC AM MXRIV DIDI GANSXVAVEBA IYO: TUKI MONGOLEBI SAQARTVELOSHI GADASAXADEBIS AKREFVASA DA MATI LASHQROMEBSHI QARTVELEBIS GAWEVAS SKERDEBODNENI, ASE AR IYO RUSETIS IMPERIIS MXRIDAN MAS SHEMDEG, RAC MAN AGMOSAVLETI SAQARTVELO QARTVELTA NEBITI SHEIERTA, XOLO DASAVLETI – JALITI. RUSI YVELANAIRAD XELS UWYOMDA SAQARTVELOSHI MARTOLMADIDEBELURI QRISTIANULI RWMENAS, RADGAN ES MISIVE SAXELMWIFO RELIGIA GAXLDAT.

MARTALIA, MAN QARTULI EKLESIIS DAMOUKIDEBLOBA MOSPO, TVITI RAMDENIME QARTVELI EPISKOPOSI FIZIKURAD GAANADGURA. YVELANAIRAD EWEODA RUSIFIKATORULI POLITIKAS, MAGRAM AMIS SEDARebAC AR SHEIDLEBODA IM SENTHAN, RAMAC SAQARTVELO MOICVA DA RAC E. W. „TYVTA SYIDVASHI“ GAMOIXATEBODA.

**IOHANN GOTFRIDI HERDERI** TAVIS „IDEEBSHI KACOBRIOBIS ISTORIIS FILOSOFIIS SESAXEB“ (1784-1791) SAQARTVELOZE SHEMDEGS GVAUWYEBS: **„SAVALALOA QRISTIANULI SAQARTVELOS BEDI. MASSHI ARIS EKLESIEBI DA MONASTREBI. ARIAN PATRIARQEBI, EPISKOPOSEBI DA BERebI; QALEBI – LAMAZEBI, MAMAKACNI – GULADNI; DA MAINC MSHOBLEBI YIDIAN SVILEBS, QMRebI – COLEBS, TAVADebI – YMebS, MORWMUNENI – MDVDLebS. UCNAURI QRISTIANOBA SUFEVS AM MXNE, UNDO, MTACEBELI ADAMIANTA SHORIS“.**



IOHANN GOTFRIDI HERDERI

GERMANELI MECNIERI **FRIDRIX RATCELI** (1844-1904) SITYVASITYVIT WERS: **„QARTVELEBI... TAVIANTI QALIMSVILEBIS MESHVEOBIT GANUWYVETELI GAMAKETILSHOBILEBELI GAVLENAS AXDENDNEN MEZOBELI XALXEBIS TIPZE. QARTVELI QALEBS MRAVALRICXOVANI DA GAVLENIANI WARMOMADGENLEBI HYAVT AGMOSAVLETIS YVELA HARAMXANEBSHI, MATI SISXLI SHCEFS TURQI, EGVIPTELI, SPARSELI DA TATARI CNOBILI PIRTA DARRGVEBSHI“ (Народоведение, Второй том, С. _ Петербург, 1903. стр. 788).**

O, RA „DIDI BEDNIERebAA“, TUXI MAJHMADIANI MZRDAKNEBLebIS HARAMXANebIS MEOSHVEOBIT MATI XALXEBIS TIPI (GAREGNOBA) „GAKETILSHOBILDA“!

SWORED AMAS SHEEBRDZOLA IMERETIS MEFE SOLOMON I (1752-1784), ROMELMAC APRDZALA „TYVTA SYIDVA“, RITAC MTACEBELI OSMALETIS DAUVIRISPIRDA. AMITOM ES AKRDZALVA SAMOLOLOD RUSETIS IMPERIAM DAAGVIRGVINA, ISEVE ROGORC MOSPO E. W. „LEKIANOBA“, RAC KAXETIS MOSAXLEOBAS AWIOKebda, IS KI ARADA, ROMELMAC 1851 WELS DAVITGAREJIS UDABNOSHI WM. MAMebI AMOWYVITA. YOVELIVE ES DAMTAVRDA SOFI. GUNIBSHI SHAMILIS DAJERIS SHEMDEG, 1859 WELS. AXLA ROM GADAVXEDOT GONebIS TVALITI, TU RA MOUTANA SAQARTVELOS RUSETIS IMPERIASHI SESVLAM, VFIQRORB,



FRIDRIX RATCELI

**DVRAS IWVEVS DEMONSTRANTebSA DA POLICIELebS SHORIS?! SHEMZARAVIA MISI SAXIDAN MOUSHORebeli DIMILI. RA GACINebS SALO, ASETIS RAS DAGPIRDNEN, ROM SHENSHI SIAMOVNEBAS IWVEVS SISXLIS DANAXVA?!**

**„VAMPIRIZMI ARIS CNebA, ROMLIS ARSIA SXVebIS WAMebIS, ASEVE MATI DAMCIRebIS DROS MIDebULI KMAYOFILebIS GRZNOBA“ (DIDI FSIQOLOGIURI ENCIKLOPEDIA, MOSKOVI 2007, „VAMPIRIZMI“). YOCHAQ, QALO, SAQARTVELOSTVIS VAMPIRAD MOVLENILO!**

ESEC BEDISWERA DA GAFRTXILebAA, ROM ROGORC CHVENTHAN, ISEVE DASAVLETSHI XIX S. MOYOLebULI QRISTES JVARCMA MISI SXEULIS GANSAKUTRebULI DASAXIRebebITI EMSGAVSEBA GRIUNEVALDIS SURATIS IZENHAIMIS EKLESIIS SAKURTHEVLIDAN.

# SAQARTVELOS BEDISWERA

## YOCHAQ, QALO, SAQARTVELOSTVIS VAMPIRAD MOVLENILO!

DADebITI MOMENTebI UFRO SKARBMS, RAC GAMOIXATA MOSAXLEOBIS ZRDASHI, KULTURIS AGMAVLOBASHI DA RASAC GANSAKUTREBITI XASZS USVAMS XIX SAUKUNESHI MOEVANE CNOBILI ISTORIKOSI DA PUBLICISTI PLATONI IOSELIANI.

MAGRAM, ROGORC CHANS, SAQARTVELOZE AM GANSACDELebIS MOVLENITI OMERTI AR DAKMAYOFILDA DA AXALI GANSACDELAD MOGVIVLINA DASAVLETIS ZRUNVA CHVENSHI „ADAMIANIS UFLebebZE“ DA „DEMOKRATIAZE“. SAMWUXARO DA SAGANGASHOA, ROM TANAMEDROVE DASAVLETIS ES „UFLebebI“ DA „DEMOKRATIA“ ESMIS QRISTIANOBIS GVERDIS AVLITI, AN SULAC ANTIQRISTIANULAD. DEVES AM „UFLebebSHI“ ESMITI ZOGADAD TOLERANTOBA ISETI MOVLENIS MIMARTI, ROGORICAA AGORZINebULI SODOM-GOMORULI CODVA, IS KI ARADA, SHEMWYNARebELI UNDA VIYOT TURME IMIS MIMARTAC, TUKI XUTI WLIS BAVSHVI „TAVISI NebITI“ SQESIS SHECVLAS MOINDOMebS.

XOM ARA VAJARBEB?! O, ES SAXELGANTQIMULI „UFLebebIS DAMCVELI“ NINO LOMJARIAS UNDA VKITXOTI, AN „DASAVLETIS IMEDI“, BEBRUNANA SALOME ZURABISHVILI.

**DASAVLETIS POSTQRISTIANULI RELIGIA JALZE MAGONebS ROMIS IMPERIAS, SADAC PLATONIKOSI CELSI (DAAXL. 180 W.) DASCINODA QRISTIANOBAS, ROMLIS MOSAZRebEBI SHEMOGVINAXA DIDMA QRISTIANMA GERZENMA DVTISMETYVELMA ORIGENEM (185-254) TAVIS RVA NIGNSHI, ROMELIC MIMARTULI IYO CELSIS WINAAGMDEG (Origenes, Contra Celsum). AM DACINVIDAN MXOLOD ERTI NAGIJIA QRISTIANebIS DEVNAMDE, RASAC AXORCIELEBDNEN, MCIREODENI GAMONAKLISebIT, ROMIS IMPERATORebI.**

**MKITXVELO, GANA AR GENIWNA, TU CHVENSHI VIDAC TELEWAMYVANI GAGUNIA ROGOR DASCINODA DVTISMSHOBLIS XATS, DA SHEMDEG ROGOR SHEUVARDNEN E. W. OPOZICIONERebI MDVDELS EKLESIASHI „RUSETIS AGENTOBIS“ BRALDebIT?! GANA FARISEVLOBA ARAA VADAGASULI PREZIDENTIS SALOME ZURABISHVILIS MIER SVETICXOVLIS MONAXULebA, TUXI DMAS DMISKEN SABRZOLVELAD MOUWODebS, RAC SISXLIS DVRAS IWVEVS DEMONSTRANTebSA DA POLICIELebS SHORIS?! SHEMZARAVIA MISI SAXIDAN MOUSHORebeli DIMILI. RA GACINebS SALO, ASETIS RAS DAGPIRDNEN, ROM SHENSHI SIAMOVNEBAS IWVEVS SISXLIS DANAXVA?!**

**„UKVE DIDI XANIA RAC DAADGINES, ROM MISI NAWARMOebebI IQMNebODA IM SHTAGEKDILebITI, RASAC MATHZE AXDENDA WM. BRIGITAS „GAMOCXADebebI“, ROMELIC GAMOICA GERMANIASHI 1500 WELS. CHVENTHAN GRIUNEVALDIS IZENHAIMISEULI SAKURTHEVLIS JVARCMIS DASAXASIATebELAD PIRDAPIR MOYVANILIA SHEMDEGI TEKSTI WM. BRIGITADAN: „KLDOVANI GVIRGVINI CHAEKEDA MIS TAVS; MAN DAOFARA NAXEVARI SHUBLI. SISXLI GADMOSDIODA VITARCA NAKADULI... SHEMDEG MOEFINA SIKVDILIS FERI... RODESAC SULI GANUTEVA, BAGE GAEOR, ASE ROM, MAYURebELebS SHEEJLOT ENIS, KBILebISA DA TUCebZE SISXLIS DANAXVA. TVALebI DAEXUJA, MUXLebI ERTI MXARES GADAIOUNA; FEXIS TERFebI DAIGRIXA LURSMNebIS IRGVLIV, TITQOS ISINI NAORZOMI IYVNEN... KRUNCHXVIT DAORebULI TITebI DA XELebI GAWVDENILNI IYVNEN... NEKNebI GAMOYOFILebIA, SESAJLebELIA MATI DATVLA, XORCI GAMOSHRA, MUCELI CHAVARDNILIA“ (ALEKSEI LOSEVI, AORZOMINebIS ESTETIKA, MOSKOVI 1998, GV. 551).**

TU RA XIOFATIS SHEMCVELIA ASETI SURATI, AMAS KARGAD GANMARTAVS DOSTOEVSKI ROMANIS MTAVARI GMIRIS PIRITI: **„AM SURATSHI GAMOSAXULIA QRISTE AXLAXAN CHAMOQebULI JVARIDAN. MECHVENebA, ROM FERMWERebS CHVEULebAD EQCATA QRISTES GAMOSAXVA ROGORC JVARZE, ASEVE JVRIDAN CHAMOQebULZE, SAXEZE JER KIDEV WARMOUDGENELI MSHVENIERebIS ELFERIT. MASZE AM MSHVENIERebIS SHENARCHUNebAS ISINI CDILOBEN TVITI MISI SASHINELI TANJVebIS DROS. XOLO ROGORUINTAN MYOFI SURATZE MSHVENIERebIS NATAMALIC ARA CHANS; ES SRULI SAXITI ADAMIANIS GVAMIA, ROMELMAC DAUSRULebELI TANJVebI JER KIDEV JVARCMAMDE GADAITANA, JRILOBebI, WAMebebI, CEMA GUSHAGebISGAN, CEMA XALXISGAN, RODESAC ZURGITI MIHQONDA JVARI DA JVRIS QEUSH DAEUCA, DAGOLOS, JVARCMIS WAMEBA EQVSI SAATIS GANMAVLOBASHI (ASE ARIS, YOVELI SHEMTXVEVASHI, CHEMI GAMOTVLIS MIXEDVIT). MARTALIA, ES ADAMIANIS SAXEA, ROMELIC MXOLOD AM WAMSAA JVRIDAN CHAMOQebULI, ESE IGI ROMELMAC TAVIS TAVSHI SHEINARCHUNA MRAVALI SICOCXLISEULI, TBILI; JER KIDEV VERAFERMA VER MOASWRO GAQVAVEBA, ASE ROM GARDACVLILIS SAXEZE TVITI WAMEBA MOCHANS, TITQOS IGI AXLAC GRZNOBS MAS (AMAS JALZE KARGAD CHAVGLO ARTISTMA); MAGRAM, SAMAGIEROD, SAXE ARANAIRAD ARA ARIS DAZOGILI; AQ MARTO BUNEBAA, DA JEUSMARITAD ISETIC UNDA IYOS ADAMIANIS GVAMI, VINC ARA UNDA IYOS IGI, ASETI WAMEBIS SHEMDEG. VICI, ROM QRISTIANULMA EKLESIAM JER KIDEV PIRVELI SAUKUNEEBSHI DAADGINA, ROM QRISTE EWAMA ARA MIMSGAVSEBITAD, ARAMED NAMDVILAD DA ROM MISI SXEULIC, MASASADAME, JVARZE EMORCHILebODA BUNEBIS KANONS SRULAD DA SRULYOFILAD. SURATZE ES SAXE SASHINLAD ARIS DAXETILI DARTYMEBIS GAMO, DASIVebULI, SAMINELI, CEMIT DALILAVebULI, TVALebI GAXELILI, GUGebI GAMRUDebULI; DIDI, YIA TVALIS TETRI GARSebI BRWYINAVEN RAOCAC MKVDRISEBR, SHUSHIS MSGAVSI ANAREKLITI. MAGRAM UCNAURIA, RODESAC UYURebS AM NAWAMebI ADAMIANIS GVAMS, MASHIN IBADEBA ERTI GANSAKUTRebULI DA CNOBISMOYVARE KITXVA: TUKI ZUSTAD ASETIVE GVAMI (XOLO IGI AUCILebLAD ZUSTAD ASETI UNDA IYOS) IXILEBI MISMA MOWAFEEBMA, MISMA MTAVARMA MOCIQULebMA, IXILEBI QALebMA, ROMLebIC MAS DAJHYVEBODNEN DA JVARTAN IDGENEN, IXILA MASSHI YVELA MORWMUNEM DA MISMA GAMAOMERTEBLebMA, MASHIN RANAIRAD SHEEJLOT MATI DAJERebA, UYURebDNEN RA ASETI GVAMS, ROM ES WAMebULI MKVDREBITI AODGEBA? AQ UNEBURAD GVEUFLebA ISETI GAGebULebA, ROM TUKI SIKVDILI ASETI SASHINELIA DA ASETI DZLIERIA BUNEBIS KANONEBI, MASHIN ROGORA ARIS SHESAJLebELI MATI DAJLEVA? ROGORA DAVDZLIOT ISINI, RODESAC AXLA MATHZE VER GAIMARJVA TAVAD MAN, ROMELIC BUNEBAZEC IMARJVebDA TAVISI SICOCXLIS GANMAVLOBASHI“ (FI. M. DOSTOEVSKI. „IDIOTI“. LENINGRADI 1973).**



FIODORI DOSTOEVSKI

TU QRISTES ASETI SURATI GRIUNEVALDIS DROS AGDRAVDA RELIGIURI MOWIWEBAS, DEVES IGI ZNEOBRIV NIHILIZMS IWVEVS, RAC SASJELIA POSTQRISTIANULI DASAVLETISTVIS, ROMELIC ZNEOBRIV NIHILIZMS SAQARTVELOSAC AXVEVS TAVS.

ES TQVENI GRIUNEVALDI DA DOSTOEVSKI ME ARA VICIO, IKITXAVS PIRDAPEBULI DA MIAMITI MKITXVELI, MAGRAM ES MITXARIT: GAMOSAVALI SAD ARISO?

DZIRFASO DA **MIAMITO** MKITXVELO, GAMOSAVALI ARIS ERTI, RASAC GVTAVAZOBS XX S-IS DIDI SAMARTALMCODNE

და მოაზროვნე **კარლ შმიტი** (რომლის ნაწარმოებების გერმანულიდან თარგმნას ხელი მივყავ იმ იმედით, რომ ვინმე მათ შეისმენდა, რაც დღემდე არ მომხდარა). აი, რას წერს იგი: **„რადიკალური გოროტების წინაშე არსებობს მხოლოდ დიქტატურა“** (კ. შმიტი, პოლიტიკური თეოლოგია, ფილოსოფიურ-პოლიტიკური კრებული, თბილისი 2020, გვ. 62).

მაგრამ აქ დამატებითი აზრის შემოტანის პირველობას ვერ წავართმევ გენერალ **დავით თევზაძეს,** რომელმაც ასეთი რამ განაცხადა ტელევიზიით (ტელეარხ „ობიექტივზე“ გენერალ **გურამ ნიკოლეიშვილთან** საუბარში): საქართველოში წარმატებით რომ განხორციელდეს დიქტატურა, საჭიროა გარეშე, დიდ სახელმწიფოზე დაყრდნობა. ასეთი სახელმწიფო პატივცემულ გენერალს, როგორც ს. ზურაბიშვილის მრჩეველს, ალბათ **აშშ** მიაჩნია, რასაც ვერანაირად ვერ დავეთანხმები. საჭიროა ისევ და ისევ **ერთმორწმუნე** სახელმწიფოზე დაყრდნობა (მეფე ერეკლეს ორიენტაცია). ზემოთ დ. თევზაძეს სიტყვა „პატივცემული“ შემთხვევით არ წარვუმძღვარე. ის პატივსაცემია ყველა მათთვის, ვისაც ახსოვს მისი თავდაუზოგავი ბრძოლა აფხაზეთში, კაკო ელიავას ზვიადისტური ბანდების გარეკვა და სამხედრო მინისტრის პოსტზე ყოფნა (ისე, ვინ დაგვწყევლა, რომ ს. ზურაბიშვილისა არ იყოს, სამხედრო მინისტრად, ახლო წარსულში, ენაგადატყავებული ქალბატონი ხიდაშელი დაინიშნა?!).

რაც შეეხება კ. ელიავას ეპიზოდს, ამასთან დაკავშირებით ერთი კომიკური პიროვნება გამახსენდა – „დიდი კონსტიტუციონალისტი“ ვახტანგ ხმალაძე, დიახ, დიახ სწორედ ის, რომელმაც ბოლო დროს ს. ზურაბიშვილს გვერდი დაუმშვენა.

არეული დროა, კ. ელიავას ბანდები თბილისისკენ მოიწევენ, საჭიროა სწრაფი რეაგირება, რაც ზედმიწევნით კარგად განახორციელა გენერალმა დავით თევზაძემ, რომელმაც ამ ბანდებს სულ კუდით ქვა ასროლინა. გამოვიდა ახლა ტელევიზიით ეს ვახტანგ ხმალაძე და: **დ. თევზაძეს ამის უფლება არ ჰქონდა, ამ საკითხზე ჯერ პარლამენტს უნდა ემსჯელა და გადაწყვეტილება შემდეგ უნდა მიეღო, ნებას დართავდა თუ არა, რომ დ. თევზაძეს ემოქმედაო.**

ვაჰ, გესმით ხალხო?! შაბაშ, შაბაშ, შენს ჭკუას „კონსტიტუციონალისტო“, ვაგლახ, ეგ სალომეც სადმე არ გადაჩეხო!

ერთიც უნდა მოგახსენოთ. სამწუხაროდ, უნდა დავეთანხმო ტელეარხ „სეზონის“ წამყვანს ნიკოლოზ მუავანაძეს, რომელიც განათლებით იურისტიც გახლავთ, რომ ვეღარ გამიგიაო ეს „ჩვენი“ საზოგადოებრივი პირველი ტელეარხი ვისია, ჩვენი, წესიერი საზოგადოების, თუ მოძალადე ე. წ. „ნაც-პარტიებისო“?! სამი მეოთხედი სულ ამათი მუქარა და ტატყანი ისმის და არხის მესვეურო, ვის ატყუებთ?! გგონიათ, ხელისუფლებაში რომ მოვიდნენ, დაგიფასებენ?

ახლა მივედით იმ საკითხთან, რაზედაც ჩვენი „განათლებული ევროპელები“ სიცილისგან იგუდებიან, მაგრამ, რის შესახებაც სულ სხვა აზრი აქვს დიდ ფილოსოფოსს ალეკსეი ლოსევს: „როგორც არ აფთრდება ნიჰილისტური და გადაგვარებული განმანათლებლობა, ეშმაკი მაინც სრულიად რეალური ძალაა; **ეშმაკის უსასრულოდ ბოროტ ძალას მხოლოდ ისინი ვერ ამჩნევენ, ვინც ამ ძალას დაუბრმავებია და თავის მსახურად უქცევია.** არ უნდა ვიფიქროთ, რომ მხოლოდ ის ბოროტი ძალები არსებობენ, რომლებსაც კლასიკური რელიგიებიდან ვიცნობთ. ამჟამინდელმა ეშმაკმა მიიღო ფილოსოფიური, მხატვრული, მეცნიერული და სხვა ფორმები“ (ალეკსეი ლოსევი, მითის დიალექტიკა, თბილისი 2017, გვ. 17).

**საქართველოს დიდი უბედურებაა, რომ ეშმაკმა აქ მიიღო პოლიტიკური ფორმა.**

**ვიქტორ რცხილაძე**

# საუკუნის ვერნისაჟი

## ვალენტინ შერპილოვის და მისი მოსწავლეების გამოფენა

ვალენტინ შერპილოვი. „მოსე თოიძე და ილია რეპინი“

**დღეს, 15 იანვარს დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში ვალენტინ შერპილოვისა და მისი მოსწავლეების – ედმონდ კალანდაძის, ჯიბსონ ხუნდაძის, ჟანი მეძმარიაშვილისა და ზურაბ ნიჟარაძის გამოფენა გაიხსნება. ინფორმაციას ეროვნული მუზეუმი ავრცელებს. მისივე ინფორმაციით, გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ვალენტინ შერპილოვის 11 ფერწერული ტილო და მისი მოსწავლეების – ედმონდ კალანდაძის, ჯიბსონ ხუნდაძის, ჟანი (ჟანგო) მეძმარიაშვილის, ზურაბ ნიჟარაძის 28 ფერწერული ნამუშევარი სემ/ხელოვნების მუზეუმის და სემ/ეროვნული გალერეის ფონდებიდან.**

**ვალენტინ შერპილოვი** (1911-1974) თავდაპირველად (1932-1938 წწ.) სწავლობდა ქანდაკებას თბილისის სამხატვრო აკადემიაში, თუმცა, დავით კაკაბაძის რჩევით, ფერწერის კათედრაზე გადავიდა და სწავლა მასთანვე გააგრძელა. აკადემიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მოსე თოიძის ასისტენტად ფერწერის კათედრაზე. 1930-იანი წლების მიწურულს ახალგაზრდა პედაგოგი სტუდენტებს შორის ,,არასწორი იდეების" (იმპრესიონიზმის) პროპაგანდისთვის აკადემიიდან დაითხოვეს. 1938-1974 წლებში ასწავლიდა თბილისის სამხატვრო სასწავლებელში. ადრეული პერიოდიდანვე ხატავდა ჟანრულ კომპოზიციებს, პორტრეტებს, თბილისის ყოფის ამსახველ სცენებს. მის შემოქმედებას ახასიათებს ფერის გამომსახველობა, თავისუფალი წერის მანერა. ვ. შერპილოვი უტყუარი „სმენის" კოლორისტია, რომელსაც შესწევს უნარი, საკუთარი ხილვები და შეგრძნებები ფერის ურთულეს ენაზე გადაიტანოს. სწორედ ამიტომ ეთმობა მის ფერწერაში განსაკუთრებული ყურადღება ფერის შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას. 1960-იან წლებში ხელოვანი გაიტაცა ენკაუსტიკის ტექნიკამ.

ჯიბსონ ხუნდაძე



ედმუნდ კალანდაძე

ვალენტინ შერპილოვმა მხატვართა არაერთი თაობა აღზარდა.

„შემოქმედებისადმი უანგარო და ლამის თავგანწირვამდე მისული დამოკიდებულებით ის იწვევდა ახალგაზრდების აღფრთოვანებასა და სიყვარულს. რაც მთავარია, ის არა მარტო შემოქმედებით, არამედ თავისი ცხოვრების წესითაც ღირსებას ჰმატებდა მხატვრისა და პედაგოგის სახელს. ჩვენი თაობა ბევრადაა დავალებული ვალენტინ შერპილოვისაგან“, – წერდა მოგონებებში ჯიბსონ ხუნდაძე.

ჟანი მეძმარიაშვილი

50-იანი წლების ქართულ მხატვრობაში მომხდარ ცვლილებებს სწორედ იმ მხატვართა ჯგუფს უკავშირებენ, რომელთა ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა ვალენტინ შერპილოვმა, როგორც პედაგოგმა. იმ წლებში ახალგაზრდა მხატვრებისთვის ვ. შერპილოვის შემოქმედება სპეციფიკური ფერწერული ძიებების გაღრმავების საფუძველსაც იძლეოდა. ისიც საგულისხმოა, რომ სწორედ ამ ახალგაზრდა მხატვრებმა (ედმონდ კალანდაძემ, ჯიბსონ ხუნდაძემ, ჟანი მეძმარიაშვილმა, ზურაბ ნიჟარაძემ და სხვებმა) განსაზღვრეს თანამედროვე ქართული მხატვრობის სახე. ისინი მასწავლებლის ტილოებში, უპირველეს ყოვლისა, ფერის იმპრესიონისტულ სიმდიდრეს, კომპოზიციის უზადო ცოდნასა და ხატვის ოსტატობას აფასებდნენ. ფერმა, როგორც მთავარმა ემოციურმა საწყისმა, აქტიურად დაიმკვიდრა ადგილი სურათში, თამამად აუღერდა მისი გამომსახველობითი ძალა, ხოლო გამომსახველობითი ენის გაღრმავებამ, თავის მხრივ, განაპირობა სურათების კამერულობა.

გამოფენა ორ თვეს გასტანს.

ზურაბ ნიჟარაძე

# 2025 წელი სრულიად ახალი თაობის დასაწყისია!

**ალბათ, ყველას სმენია სიტყვები: „მილენიალი“, „Gen Z“, „Gen X“, „Gen Alpha“ – ისინი სხვადასხვა თაობას აღნიშნავს. მაგალითად, მილენიალები 1981-1996 წლებში დაბადებულ ადამიანებს ეწოდებათ, Gen Z-ს კი მიეკუთვნება ყველა, ვინც 1997-2012 წლებს შორის გაჩნდა.**

ამის შემდეგ თაობა ალფა მოდის, ანუ 2024 წლის ჩათვლით დაბადებულები. შესაბამისად, 2025 წელი სრულიად ახალი თაობის დასაწყისია და მას ბეტა ეწოდება.

თითოეული თაობა კულტურული, ტექნოლოგიური და სოციალური გარემოს მიხედვით განისაზღვრება, რომელსაც ამ ადამიანების ქცევასა თუ სხვა მახასიათებლებზე აქვს გავლენა. ყოველი ასეთი დროითი კატეგორია დაახლოებით 15-წლიან პერიოდს მოიცავს და მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებთანაა დაკავშირებული.

მილენიალები და **Gen Z** სწრაფად განვითარებადი ტექნოლოგიების ეპოქაში დაბადებულები არიან, ალფა კი – ჭკვიანი ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის (**AI**).

ვინაიდან ეს სფეროები დღითი დღე ვითარდება, თაობა ბეტა იცხოვრებს ისეთ მსოფლიოში, სადაც **AI** და ავტომატიზაცია ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი იქნება.

„სავარაუდოდ, ეს იქნება პირველი თაობა, რომელიც ყოველდღიურობაში უკვე მასობრივად გამოცდის ავტონომიურ ტრანსპორტირებას, სამედიცინო ფუნქციის ტარებად ტექნოლოგიებსა და იმერსიულ ვირტუალურ გარემოს.

მათი ჩამოყალიბების წლების განმავლობაში მეტი ყურადღება დაეთმობა პერსონალიზაციას – **AI** ალგორითმები მათი სწავლის, შოპინგისა თუ სოციალური ინტერაქციების საჭიროებას მოერგება იმ გზით, რომლის წარმოდგენაც დღეს მხოლოდ ნაწილობრივ შეგვიძლია“, – წერია მარკ მაკრინდლის კომპანიის ბლოგ პოსტში. ესაა მკვლევარი და ფუტურისტი, რომელმაც ტერმინი „თაობა ალფა“ დაამკვიდრა.

**მნიშვნელოვანია ისიც, რომ თაობა ბეტას მშობლები სოციალური მედიის ეპოქაში გაიზარდნენ, ამიტომ დადებითთან ერთად, მისი უარყოფითი გავლენის შესახებაც იციან. აქედან გამომდინარე, მათ შვილების მიერ ტექნოლოგიების გამოყენებისას ბალანსის დაცვის კონტროლი, წესით, არ გაუჭირდებათ.**

პროგნოზის მიხედვით, 2035 წლისთვის თაობა ბეტა გლობალური პოპულაციის 16%-ს დაიკავებს და ბევრი მათგანი 22-ე საუკუნეშიც გადააბიჯებს.

# დედამიწის მანტიაში „ჩაძირული სამყაროები“

**მეცნიერებმა წყნარი ოკეანის ქვეშ, დედამიწის მანტიაში ღრმა „ჩაძირული სამყაროები“ აღმოაჩინეს. ეს ის ადგილებია, სადაც სავარაუდოდ, მდებარეობს უძველესი ტექტონიკური ფირფიტები, რომლებიც ოდესღაც ზედაპირის ქვეშ იყო გამოყვანილი, იუწყება Earth.**

აღმოჩენა გააკეთა ციურიხის **ETH** გეოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფმა. კვლევაში აღმოაჩინეს დამატებითი უბნები დედამიწის ინტერიერში, რომლებიც, როგორც ჩანს, წყალქვეშა ფირფიტების ნაშთებია.

სეისმური ჩანაწერების გამოყენებით, მეცნიერები ადგენენ ჩაძირული ტექტონიკური ფირფიტების პოზიციას დედამიწის მანტიაში. ისინი, როგორც წესი, განლაგებულია იმ ადგილებში, რომლებიც ცნობილია როგორც სუბდუქციის ზონები. ეს არის ადგილი, სადაც ორი ფირფიტა ხვდება ერთმანეთს, აქედან კი ერთი იძირება მეორის ქვეშ ჩვენი პლანეტის შიგნით.

საინტერესოა, რომ კვლევის დროს მეცნიერებმა შენიშნეს რაღაც უჩვეულო – ჩაძირული ტექტონიკური ფირფიტები არ არის იქ, სადაც უნდა იყოს. სამაგიეროდ, ისინი მდებარეობდნენ დიდი ოკეანეების ქვეშ ან კონტინენტების შიგნით.

ერთ-ერთი ასეთი ანომალია წყნარი ოკეანის დასავლეთით აღმოაჩინეს. მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ არ არსებობს ძველი ფირფიტების ფრაგმენტების იქ ყოფნის მიზეზი.

„ცხადია, ასეთი ზონები დედამიწის მანტიაში ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე ადრე ეგონათ“, – თქვა მკვლევარმა.

ახლა მეცნიერებს აქვთ კითხვები ამ სტრუქტურების წარმოშობისა და ბუნების შესახებ. ერთი თეორია არის ის, რომ ეს არის უძველესი, „სილიკონით მდიდარი ჯიბეები“, რომლებიც დარჩენილია ადრეული მანტიიდან. ისინი ასევე შეიძლება იყოს რკინით მდიდარი აკუმულაციები, რომლებიც ტრიალებენ მილიარდობით წლის განმავლობაში. მეცნიერებს მოუწევთ, გააგრძელონ კვლევა ახალ კითხვაზე ყველა პასუხის მოსაძებნად.

# აშშ-ის უზენაესი სასამართლო TikTok-ის აკრძალვას ემხრობა




**აშშ-ის უზენაესი სასამართლო, ეროვნული უსაფრთხოების საფუძველზე, მზადაა დაამტკიცოს კანონი, რომელიც ქვეყანაში TikTok-ს აკრძალავს, თუ მისი ჩინელი მშობელი კომპანია პლატფორმას 19 იანვრამდე არ გაყიდის.**

როგორც **BBC** იუწყება, უზენაესი სასამართლოს მოსმენა **TikTok**-ის შესახებ შეერთებულ შტატებში პარასკევს 2.5 საათი გაგრძელდა, სადაც პლატფორმის იურისტებმა, აშშ-ის მთავრობის წარმომადგენლებმა და **TikTok**-ის კონტენტის შემქმნელებმა იმსჯელეს.

2024 წლის აპრილში აშშ-ის კონგრესმა მიიღო კანონი, რომელიც **TikTok**-ის ჩინელ მფლობელს, **ByteDance**-ს ავალდებულებს, პლატფორმა ამერიკულ კომპანიას მიჰყიდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, 2025 წლის 19 იანვრიდან აშშ-ში სოციალურ ქსელს აკრძალვა დაემუქრება. კომპანიამ განაცხადა, რომ პლატფორმას არ გაყიდის.

ამერიკელი ოფიციალური პირები ამბობენ, რომ ჩინური კომპანია **TikTok** პეკინს ამერიკელების შესახებ მონაცემების შეგროვების და საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას აძლევს.

გასული წლის დეკემბერში, აშშ-ის სააპელაციო სასამართლომ დაამტკიცა კანონი აშშ-ში **TikTok**-ის აკრძალვის და განაცხადა, რომ ეს ღონისძიება გამართლებული იყო, როგორც ეროვნული უსაფრთხოებისთვის ბრძოლის ფართო ძალისხმევის ნაწილი.

აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში ელოდებიან.

პარასკევს უზენაესი სასამართლოს მოსმენაზე, **TikTok**-ის წარმომადგენელმა იურისტებმა და კონტენტის შემქმნელებმა განაცხადეს, რომ პლატფორმის აკრძალვა **TikTok**-ის 170 მილიონზე მეტი ამერიკელი მომხმარებლის სიტყვის თავისუფლებას დაარღვევს.

**TikTok**-მა არაერთხელ უარყო, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტია კომპანიას თავისი გავლენის გასავრცელებლად იყენებს და თქვა, რომ აშშ-ის კანონი არღვევს მომხმარებლების პირველი შესწორების უფლებებს სიტყვის თავისუფლებაზე.

## დონალდ ტრამპი:
# ვიცი, რომ ვლადიმერ პუტინს შეხვედრა სურს და ვაპირებ შეხვედრას ძალიან სწრაფად!

**აშშ-ის არჩეული პრეზიდენტის დონალდ ტრამპის განცხადებით, ის აპირებს რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს „ძალიან სწრაფად“ შეხვდეს მას შემდეგ, რაც მომავალ კვირას თანამდებობას ოფიციალურად დაიკავებს, – ინფორმაციას Reuters-ი ავრცელებს.**

კითხვაზე, რა არის ომის დასრულების მისი სტრატეგია, ტრამპმა **Newsmax**-ს განუცხადა, რომ არსებობს მხოლოდ ერთი სტრატეგია და ის პუტინზეა დამოკიდებული.

„არსებობს მხოლოდ ერთი სტრატეგია და ის პუტინზეა დამოკიდებული. ვერ წარმომიდგენია, ის ძალიან აღფრთოვანებული იყოს იმით, თუ როგორ მიდის საქმე, რადგან მისთვისაც არ მიდის სავსებით კარგად“, – აღნიშნა ტრამპმა.

„ვიცი, რომ მას სურს შეხვედრა და მე ვაპირებ შეხვედრას ძალიან სწრაფად. ამას უფრო ადრე გავაკეთებდი, მაგრამ საჭიროა ოფისში ყოფნა. ზოგიერთი რამისთვის საჭიროა, იქ იყო“, – აღნიშნა ტრამპმა.

## მარკ რუტე,
## ნატოს გენერალური მდივანი:
# მშვიდობა ვერ გაგრძელდება, თუ ომი პუტინთან შეთანხმებით დასრულდება

**– ჩვენ ყველას გვინდა, რომ ეს ომი დასრულდეს, მაგრამ ჩვენ ყველას გვინდა მშვიდობა, რომელიც გაგრძელდება. მე არ ვიცი, როდის ან როგორ დასრულდება ომი, მაგრამ ვიცი, რომ მშვიდობა ვერ გაგრძელდება, თუ პუტინი უკრაინაში თავისას მიაღწევს, რადგან ის ამაზე არ გაჩერდება. წარსულში ის იმუქრებოდა, რომ დაიწყებდა ომს და დაიწყო კიდეც – საქართველოში 2008 წელს, უკრაინაში 2014 და 2022 წლებში. ვინ იქნება შემდეგი სამიზნე? მშვიდობა ვერ გაგრძელდება, თუ ომი პუტინთან შეთანხმებით დასრულდება!**

# ასეულობით ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი... მაღაზიის საწყობში

**პოლონეთში, ავეჯის მაღაზია IKEA-ს საწყობში რამდენიმე ასეულ ტანკსაწინააღმდეგო ნაღმს მიაგნეს.**

ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ოთხმა სამხედრომ, რომლებსაც სატვირთო მატარებლიდან საბრძოლო მასალები უნდა გადმოეტვირთათ, მოვალეობა არ შეასრულეს.

როგორც პოლონეთის თავდაცვის უწყებაში განმარტეს, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები დანიშნულების ადგილზე მიტანის ნაცვლად, დაიკარგა.

საბრძოლო მასალას, მოგვიანებით, ავეჯის შვედური მაღაზიის საწყობში მიაგნეს. თავად ეჭვმიტანილები დანაშაულს არ აღიარებენ. მათ ოთხ წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

# ახალი გვირაბი – მცხეთიდან ავჭალისკენ

**თბილისის შემოვლითი გზის პროექტის ფარგლებში მცხეთის რაიონის სოფელი წიწამურიდან, თბილისში ავჭალის დასახლებამდე ახალი 6.5-კილომეტრიანი 4-ზოლიანი გზის მშენებლობა იგეგმება, რომელიც 3.4-კილომეტრიანი გვირაბის გაყვანასაც ითვალისწინებს.**

თბილისის შემოვლითი გზის პროექტირების სამუშაოები ჯერ კიდევ 2017 წლიდან მიმდინარეობს და მასზე იტალიური საინჟინრო კომპანიები **Anas International Enterprise**-ი და **IRD Engineering**-ი მუშაობენ. ახალმა გზამ გვერდი უნდა აუაროს თბილისს და ის ძირითადად იმ მონაკვეთებზე გაივლის, სადაც წარსულში თბილისის შემოვლითი რკინიგზის მონაკვეთს უნდა გაევლო, თუმცა აღნიშნული რკინიგზის განვითარება 2013 წელს შეჩერდა, მას შემდეგ კი დაიწყო მსჯელობა ამ ტერიტორიაზე თბილისის შემოვლითი მაგისტრალის განვითარების შესახებ, რასაც აზიის განვითარების ბანკი აფინანსებს. პროექტს არა თბილისის მერია, არამედ ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს.

ახალი მაგისტრალის პროექტირება უკვე არაერთი წელია მიმდინარეობს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანახმად, გზის წიწამური-ავჭალის 6.5-კილომეტრიან მონაკვეთზე რამდენიმე ალტერნატივიდან უკვე შერჩეულია ალტერნატივა, რომელიც 3.4-კილომეტრიანი პარალელური გვირაბების გაყვანას ითვალისწინებს.

გზის ამ მონაკვეთთან დაკავშირებით საჯარო განხილვა მცხეთასა და თბილისში 18 თებერვალს იგეგმება. ამასთან, დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს გზის მონაკვეთთან დაკავშირებით საკუთარი შენიშვნების თუ კომენტარების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახურში გაგზავნა 7 მარტამდე შეეძლებათ.

თბილისის შემოვლითი გზის საპროექტო სიგრძე 50 კილომეტრია, ის მცხეთის, ჯვრის მონასტრის მიმდებარედ დაიწყება, გვირაბის მეშვეობით ავჭალის, გლდანის და თბილისის ზღვის მიმართულებით გაგრძელდება, შემოუვლის ლილოს დასახლებას და სამხრეთით, რუსთავისკენ მიემართება. სწორედ ამ გზის მეორე ლოტი იქნება წიწამური-ავჭალის გზის მონაკვეთი.

გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ახალი მაგისტრალი ზემოქმედებას მოახდენს კერძო საკუთრებაში არსებულ 183 მიწის ნაკვეთზე, რომელთა ფართობიც 329,310 კვადრატული მეტრი იქნება. ის ასევე მოახდენს გავლენას 56 სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომელთა ფართობიც 123,971 კვადრატული მეტრი იქნება.

გარემოს სენსიტიურობის გათვალისწინებით ჯვრის გვირაბის მოწყობისას გამოყენებული იქნება **ADECO** მეთოდი ე.წ. გვირაბგასაყვანი კომბაინი. ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები არ იწარმოებს. შერჩეული მეთოდი საშუალებას იძლევა, შემცირდეს მიმდებარე ნაგებობებზე/კონსტრუქციებზე და სხვა რეცეპტორებზე ხმაურის და ვიბრაციის ზემოქმედება. კომბაინს შეუძლია ოპერირება სხვადასხვა პირობებისადმი მარტივი ადაპტირება, 90-გრადუსიანი კვეთების და ვენტილაციის სისტემის გასაყვანად საჭირო ჰორიზონტალური გალერეების მოწყობა, – ნათქვამია ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

პროექტთან დაკავშირებით საერთაშორისო ტენდერის გამოცხადება სავარაუდოდ გზშ გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ მოხდება.

# დედაქალაქში სიდიდით მეორე პარკი შენდება

**თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური სამგორის რაიონში, აბაშვილის ქუჩა N3-ში, ე.წ. სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე პარკის მოწყობის სამუშაოებს ახორციელებს.**

თბილისის მერიის ინფორმაციით, ტერიტორიაზე, რომლის ფართობიც 16 ჰექტარია, მიმდინარეობს საფეხმავლო და ველობილიკების, სპორტული მოედნების, საბავშვო სივრცეების, ცხოველთა სასეირნო სივრცის, დასასვენებელი პავილიონების, სკეიტპარკის, პარკურ პარკის, საჭადრაკო სივრცის, მშრალი შადრევნისა და ამფითეატრის მოწყობა. ტერიტორიაზე განთავსდება მცირე ზომის ველოტრეკიც.

სამუშაოების მიმდინარეობას დედაქალაქის მერი კახა კალაძე მოადგილე ანდრია ბასილაიასთან ერთად გაეცნო.

„სამგორის რაიონში, ე.წ. სამხედრო დასახლებაში ძალიან კარგი პროექტი ხორციელდება – 16 ჰექტარ ტერიტორიაზე პარკის მშენებლობა მიმდინარეობს. ეს სიდიდით, ზღვისუბნის პარკის შემდეგ, დედაქალაქში მეორე იქნება. სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. ტერიტორია სრულად მოწესრიგდება და გამწვანდება. სიახლეა ის, რომ მოეწყობა ველოტრეკი, რომელიც დედაქალაქში პირველი პროექტი იქნება. გამოიყოფა პარკური ზონა, სკეიტპარკი, ცხოველებისთვის ცალკე სივრცე, ატრაქციონები, სასეირნო ბილიკები, სავარჯიშო მოედნები. ტერიტორია იძლევა საშუალებას, რომ ყველა ასაკის ადამიანისთვის მოეწყოს შესაბამისი სივრცე. აღნიშნულ სივრცეს 2026 წლის გაზაფხულიდან უკვე ექნება შესაძლებლობა, სტუმრები მიიღოს. ირგვლივ უამრავი ადამიანი ცხოვრობს და პირველ რიგში, მათი ოჯახებისთვის არის მნიშვნელოვანი. ზოგადად, რეკრეაციული სივრცეები ძალიან უხდება ჩვენს დედაქალაქს და მიხარია, რომ კიდევ ერთი დიდი პროექტი შეემატება მას“, – განაცხადა კახა კალაძემ.

აღსანიშნავია, რომ პროექტში გათვალისწინებულია გარე განათების, სარწყავი და ვიდეომეთვალყურეობის სისტემების მოწყობაც. ტერიტორიაზე შევა ნოყიერი მიწის ნაზავი, დაირგვება 8 300 ძირი მწვანე ნარგავი და დაითესება ბალახი.

დედაქალაქის მერთან ერთად, ადგილზე სამგორის რაიონის გამგებელი კახა სამხარაძე და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი პაატა ტოგონიძე იმყოფებოდნენ.

# გოდერძი ევროპის საუკეთესო სათხილამურო კურორტია

**გავლენიანი სამოგზაურო პლატფორმა European Best Destinations ევროპის საუკეთესო ზამთრის კურორტების რეიტინგს აქვეყნებს. სიაში სამთო კურორტი გოდერძი პირველ ადგილზეა. 12 საუკეთესო მიმართულებას შორის, საქართველოს კურორტთან ერთად საფრანგეთის, იტალიის, შვეიცარიისა და ავსტრიის სამთო-სათხილამურო მიმართულებები მოხვდნენ.**

„თუ თქვენ ევროპაში საუკეთესო სათხილამურო თავგადასავლებს, ყველაზე ლამაზ სამთო ტრასებს, საუკეთესო ინფრასტრუქტურას და უბრალოდ ზამთრის არდადეგებზე გარანტირებულ თოვლს ეძებთ, მაშინ დაგეხმარებით. აღმოაჩინეთ აჭარის რეგიონში უმაღლესი ხარისხის კურორტი გოდერძი, რომელიც წელს ევროპის ყველაზე ცნობილ კურორტებზე წინ დასახელდა. აქ აღმოაჩენთ ისტორიის შარმისა და თანამედროვე ინოვაციების ნაზავს“, – წერს **European Best Destinations.**

სამოგზაურო პლატფორმა მკითხველს ინფორმაციას აწვდის აჭარის სამთო კურორტის უპირატესობების შესახებ.

„კურორტი გოდერძი ზამთრის სამოთხეა მოთხილამურეებისა და სნოუბორდისტებისთვის. აჭარაში მდებარე კურორტი ევროპის მთავარი სამთო მიმართულებაა, რომელიც ზამთრის საუკეთესო თავგადასავლებს გთავაზობთ. აქ ზამთრის გრძელი სეზონი გელოდებათ. ნოემბრიდან აპრილის შუა რიცხვებამდე თოვლი გარანტირებულია. კურორტის უნიკალური ალპური და სუბტროპიკული კლიმატის ნაზავი მაღალი ხარისხის თოვლს წარმოქმნის, რაც ნამდვილი სამოთხეა მოთხილამურეებისთვის. გოდერძი თანამედროვე ინფრასტრუქტურით, სამთო საბაგიროებით, გონდოლებითა და ტრასებით გამოირჩევა. კურორტი მორგებულია როგორც დამწყებ, საოჯახო, ასევე პროფესიონალ მოთხილამურეებზე. გოდერძი ევროპის ერთ-ერთი ულამაზესი ზამთრის კურორტია, აქ ბუნების მშვენიერება მოქმედებს განწყობაზე და მშვიდ ფონს გთავაზობთ სრიალისა და დასვენებისთვის“, – წერს სამოგზაურო პლატფორმა და მკითხველს ქართული სტუმარმასპინძლობის შესახებ მოუთხრობს.

# 2024 წელს საქართველოს აეროპორტებში მგზავრებისა და რეისების რეკორდული მაჩვენებელია!

**საქართველოს აეროპორტების გაერთიანების (UAG) გენერალური დირექტორის ირაკლი ქარქაშაძის განცხადებით, 2024 წელი საქართველოს აეროპორტებისთვის ისტორიული იყო და ჯამურად ყველა აეროპორტი 7,425,399 მგზავრსა და 31,937 რეისს მოემსახურა. წინა წელთან შედარებით, მგზავრთნაკადის რაოდენობა – 24 %-ით, ხოლო რეისების რაოდენობა 25 %-ით გაიზარდა (2023 წელი – 5,986,754 მგზავრი, 25,607 რეისი).**

„2024 წელი ქართული ავიაციისთვის და საქართველოს აეროპორტების გაერთიანებისთვის ისტორიული წელი იყო. ჩვენ შევძელით და 7 მილიონ 400 ათასზე მეტ მგზავრს მოვემსახურეთ სამივე საერთაშორისო აეროპორტში, რაც წინა წელთან შედარებით 24 %-იან ზრდას წარმოადგენს. გარდა ამისა, ჩვენ შევძელით და 2024 წელს წარმატებით დავასრულეთ მოლაპარაკებები 10 ავიაკომპანიასთან 13 ახალი მიმართულებით, რაც იმას ნიშნავს, რომ 2025 წელს ველოდებით კიდევ უფრო მეტ მგზავრთნაკადს და კიდევ უფრო მეტ მიმართულებას“, – განაცხადა ირაკლი ქარქაშაძემ.

2025 წლის მარტიდან საქართველოს ავიაბაზარზე გაერთიანებული სამეფოს ფლაგმანი – **British Airways** შემოდის. ასევე, მარტიდან იწყებს ფრენებს ბრიტანული დაბალბიუჯეტური ავიაკომპანია **easyJet**-ი, რომელიც პირდაპირ რეგულარულ ფრენებს ლონდონის, ჟენევისა და მილანის მიმართულებით შეასრულებს. 9 აპრილიდან საქართველოს ავიაბაზარზე ოპერირებას **Transavia France** პარიზი-თბილისი-პარიზის მიმართულებით დაიწყებს. ასევე, 12 აპრილიდან, კვირაში 2 სიხშირით, ციურიხი-თბილისი-ციურიხის მიმართულებით **Edelweiss** იფრენს. საქართველოს აეროპორტების გაერთიანება აგრძელებს მოლაპარაკებებს ავიაკომპანიებთან ქვეყნის სამივე საერთაშორისო აეროპორტში ახალი ავიაკომპანიების შემოყვანისა და ახალი ავიამიმართულებების დაწყების მიზნით.

ინფორმაციას საქართველოს აეროპორტების გაერთიანების პრესსამსახური ავრცელებს.

# სამსუნიდან სარფამდე 509-კილომეტრიანი რკინიგზა აშენდება

**როგორც თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ქალაქ რიზეში რამდენიმე დღის წინ გამართულ პოლიტიკურ კონგრესზე განაცხადა, ქვეყნის ხელისუფლება შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს რკინიგზის ქსელით აღჭურვას გეგმავს.**

509-კილომეტრიანი რკინიგზა, რომელიც თურქეთის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ სამსუნში დაიწყება, ორდუს, გირესუნს, ტრაპიზონს, რიზეს და ართვინს გაივლის და საქართველოს საზღვართან, სარფში დასრულდება. თურქეთის ხელისუფლების პროგნოზით, რკინიგზით ყოველწლიურად ათი მილიონი ადამიანი ისარგებლებს.

◎ ტრანსფერი

# პარიზს კვარასი სჯერა!

**„პარი სენ-ჟერმენში“ ხვიჩა კვარაცხელიას ტრანსფერი გადაწყდა და მხოლოდ ოფიციალური განცხადებაღა რჩება, რომელიც უახლოეს მომავალში გაკეთდება.**

ცნობილია გარიგების პირობებიც: კვარაცხელია პსჟ-სთან ხელშეკრულებას 2029 წლის ზაფხულამდე გააფორმებს და სეზონში მისი ხელფასი 8-9 მილიონი ევრო, პლუს ბონუსები იქნება, რაც „ნაპოლისთან“ შედარებით ძალიან მაღალი გასამრჯელოა.

„ნაპოლი“ „პარი სენ-ჟერმენისგან“ 70 მილიონ ევროს მიიღებს, რასაც ბონუსებიც დაემატება. ასე რომ, იტალიური კლუბიც დიდ მოგებას ნახავს, რადგან ხვიჩა მხოლოდ 10 მილიონ ევროდ დაიმატა. დავძენთ, რომ რუსთავი 400 ათასს მიიღებს, რუბინი – 1,2 მილიონს და ბათუმი – 1,6 მილიონს.

შეგახსენებთ, რომ ხვიჩა კვარაცხელია „ნაპოლიში“ 2022 წელს გადავიდა და მას შემდეგ 107 მატჩში 30 ბურთი გაიტანა, ხოლო 24-ჯერ საგოლე პასი მიითვალა. მან 2023 წელს სკუდეტო მოიგო, სერია A-ში 2022-2023 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშე, ხოლო ჩემპიონთა ლიგაზე საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა.

კვარაცხელიამ „ნაპოლიში“ ბოლო მატჩი 29 დეკემბერს „ვენეციასთან“ ჩაატარა, ხოლო ბოლო გოლი 29 ოქტომბერს „სან სიროზე“ „მილანს“ გაუტანა.

ასე რომ, საფრანგეთის ლიგა 1-ში მიმდინარე სეზონში სამი ქართველი ითამაშებს – ხვიჩა კვარაცხელია (პსჟ), ზურიკო დავითაშვილი (სენტ ეტიენი) და გიორგი მიქაუტაძე (ლიონი). აღსანიშნავია, რომ ბოლო ორმა პარიზში გოლები უკვე გაიტანეს, მათ შორის ზურიკომ – ბოლო ტურში ჯარიმით – 1:2.

◎ ოქტაგონზე

# რემატჩი - 5 აპრილს

**UFC-ის ქართველი ჩემპიონის ილია თოფურიას მომდევნო შეხვედრის სავარაუდო თარიღი ცნობილია.**

ქართველი მებრძოლი სატიტულო ჩხუბს მაიამიში გამართავს, სადაც მისი მეტოქე ალექსანდრ ვოლკანოვსკი იქნება და მათ შორის რემატჩი UFC 314-ზე 5 აპრილს მოეწყობა. როგორც MMA-ს ექსპერტები აცხადებენ, ეს ვარიანტი ოფიციალურად სულ მალე დადასტურდება.

ილია თოფურიამ ვოლკანოვსკი 2024 წლის 18 თებერვალს დაამარცხა. მან ყოფილი ჩემპიონი მეორე რაუნდში დაანოკაუტა და UFC-ის საჩემპიონო ქამარს დაეუფლა.

◎ აუზში




# მცირედი დაგვაკლდა

**საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა მსოფლიო თასზე, რომელსაც რუმინეთმა უმასპინძლა, აშშ 17:12 დაამარცხა.**

ჯვაროსნებმა მეტოქეს ოთხივე პერიოდში აჯობეს და საბოლოოდ გამარჯვება არ გასჭირვებიათ. საქართველოს ნაკრებმა ტურნირზე მე-7 ადგილი დაიკავა და სუპერფინალის ეტაპზე ვერ გადავიდა, რადგან ამისთვის საჭირო საუკეთესო ექვსეულში მოხვედრა იყო.

საქართველოს ნაკრებმა ტურნირზე ხორვატეთთან 11:13 წააგო, შემდეგ რუმინეთი 24:12 დაამარცხა, უნგრეთთან 10:21 და იაპონიასთან 18:19 დამარცხდა.

◎ ოვალური ბურთი

# მნიშვნელოვანიც, პერსპექტიულიც

**„შავმა ლომმა“ ჩელენჯ თასის უმნიშვნელოვანესი მატჩი „ბაიონასთან“ 16:41 წააგო, არადა, პირველ ტაიმში ტოპ-14-ის მინადარს დიდი ბრძოლა გაუმართა – 16:17.**

ამ დიდ მოვლენასთან დაკავშირებით საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **იოსებ ტყემალაძემ** ქართული ფრენჩაიზის „შავი ლომის“ მნიშვნელობასა და პერსპექტივებზე ისაუბრა:

„ვფიქრობ, „შავი ლომი“ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პროექტია, რომელმაც ეროვნული ნაკრების მაღალი შედეგების მიღწევა განაპირობა. გუნდის შემადგენლობის დაახლოებით 50-60% ეროვნული ნაკრების მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული, დაახლოებით 20% განვითარების ჯგუფიდან, 18 და 20-წლამდელებიდან ამოდიან, ხოლო 20%-ს უფრო ასაკოვანი მოთამაშეები შეადგენენ, რათა გუნდის მდგრადობა შენარჩუნდეს.

ის იყო, არის და იქნება კიდევ უფრო მაღალი შედეგების მიღწევის გარანტი, თუმცა გვაქვს პრობლემები მაღალი დონის თამაშების რაოდენობის მხრივ. „შავი ლომი“ თამაშობს რაგბი ევროპის სუპერთასზე, რომლის დონესაც თავიდან თითქოს არაუშავდა, მაგრამ ბოლო წლების შედეგები გვაჩვენებს, რომ კონკურენცია ნულის ტოლია. განვითარების კუთხით ის ბევრს ვერაფერს გვაძლევს, მაგრამ არც ის გამოვა მხოლოდ ჩელენჯ თასზე ვითამაშოთ და მერე გუნდი დავშალოთ.

აქვე უნდა ითქვას, რომ როდესაც რაგბის კავშირში მოვედი, ჩელენჯ თასზე მოხვედრაზე ვერც კი ვიოცნებებდით, რადგან არ არსებობდა ვერტიკალი, რომელიც იქამდე მიგვიყვანდა, მაგრამ ჩვენი საერთო მუშაობით, მთავრობის ხელშეწყობით და კარგი პირადი ურთიერთობებით არა მხოლოდ ამ ტურნირზე მოვხვდით, არამედ „სქარლეთსის“ დამარცხებით პირველსავე სეზონში სენსაცია მოვახდინეთ.

ერთი თამაში მიმდინარე სეზონშიც უკვე მოვიგეთ – დავამარცხეთ ფრანგული „ვანი“, რაც კიდევ ერთი ზარია დიდი სარაგბო ოჯახისთვის, რომ ქართველები მოვდივართ!“ – აღნიშნავს ტყემალაძე. იგი იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში „შავი ლომი“ კიდევ ერთ უმაღლესი დონის ტურნირში, გაერთიანებულ რაგბის ჩემპიონატში ჩაერთვება, სადაც ირლანდიური, უელსური, შოტლანდიური, იტალიური და სამხრეთაფრიკული ფრენჩაიზები თამაშობენ და მთელი სეზონი გრძელდება.

მასში ამჟამად 16 გუნდი ირიცხება და განიხილება კიდევ ორის დამატების შესაძლებლობა და თუ ეს განხორციელდა, ტურნირის ფარგლებში „შავ ლომს“ მინიმუმ 18-20 მაღალი დონის თამაში ექნება – მათგან ნახევარი საქართველოში.

„თუკი რამ შესაძლებელია ყველაფერს ვაკეთებთ, რათა გაერთიანებულ რაგბის ჩემპიონატში ჩავერთოთ. ეს არის უმაღლესი დონის საკლუბო ტურნირი, რომელიც გზას გვიხსნის ჩემპიონთა თასისკენ. ნებისმიერ შემთხვევაში, იქ ჩართვით „შავი ლომი“ მიიღებს 18-20 მაღალი ინტენსივობის თამაშს, რასაც ემატება ჩელენჯ თასის მინიმუმ 4 შეხვედრა. ამ შემთხვევისთვის, მაღალი მიღწევების ჯგუფთან ერთად განვიხილავთ საფრანგეთიდან იმ მოთამაშეების დაბრუნებას, რომლებიც ისეთ კლუბებში თამაშობენ, რომ მათ განვითარებას ვერ უზრუნველყოფენ. ეს მოთამაშეებისთვისაც სასურველი იქნება, რადგან სწორედ ისეთი გუნდების წინააღმდეგ ითამაშებენ, რისი სურვილიც აქვთ.

რაგბის გაერთიანებული ჩემპიონატის საბჭო ამ საკითხის განსახილველად იანვარში შეიკრიბება და ჩვენ მასში სრულად ვართ ჩართული. თუ დადებითი გადაწყვეტილება იქნება, ეს დააკომპენსირებს იმ მაღალი დონის თამაშების ნაკლებობას, რომელსაც ჩვენი ეროვნული ნაკრები განიცდის. 20-წლამდელების 6-ერში და „შავი ლომის“ გაერთიანებულ ჩემპიონატში ჩართვა პროგრამა-მაქსიმუმი იქნება უახლოეს 1-2 წელიწადში და მერე ისეთ შედეგებს მივიღებთ, ისეთ ტიერ1-ის გუნდებს დავამარცხებთ, რომ ექვსი ერი თვითონ გაგვიღებს კარს.

ამიტომ, სულმოუთქმელად ველით იანვრის შეხვედრას, თუმცა ისინიც უყურებენ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, რადგან მათთვის მნიშვნელოვანია სტაბილურობა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რაც სტუმრად ჩამოსულმა ფრანგებმა თქვეს – თქვენთან სრული მშვიდობაა იმასთან შედარებით, რაც ჩვენთან „ყვითელი ჟილეტების“ გაფიცვის დროს ხდებოდაო. მაგრამ ორგანიზატორები მაინც ღელავენ საფრთხეებსა და რისკებზე.

ქართველებს გვიყვარს თქმა – უნდა მოვიგოთ, მაგრამ ამ თითოეული გამარჯვების თუ წინსვლის უკან უამრავი ადამიანის ღვაწლია ჩადებული – მოთამაშეების, მწვრთნელების, მთლიანად რაგბის კავშირის და საქართველოს მთავრობის. მთავრობის მხარდაჭერის გარეშე „შავი ლომის“ ჩელენჯ თასში ჩართვის პროექტი ვერ შედგებოდა, რადგან პატარა ციფრებზე არაა საუბარი და ახლა მათთან ინტენსიურ მსჯელობაში ვართ გაერთიანებულ ჩემპიონატში ჩართვასთან დაკავშირებით.

ეს მნიშვნელოვანია ქვეყნის ცნობადობისთვის. ტურიზმის ადმინისტრაცია გახდა EPCR-ის ერთ-ერთი სპონსორი (რომელიც ჩემპიონთა და ჩელენჯ თასების ორგანიზატორია) და საქართველოს ბანერი ყველგან ანათებს. თამაშებს ყოველ კვირაში ასი ათასობით გულშემატკივარი ესწრება, თითოეულ თამაშზე 800-1000 გულშემატკივარი ჩამოდის, ტელე-ტრანსლაციებს კი ასეულობით მილიონი ადამიანი უყურებს. რაგბის მეშვეობით ხდება ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაცია, ხასიათის და იდენტობის წარმოჩინება, საკლუბო პოზიციონირება.

რაგბი ყველასია და ჩვენ ძალიან ახლოს ვართ იმ ბუნებრივ ადგილთან, რასაც ევროპული ტურნირების მწვერვალი ჰქვია და მჯერა იმ მწვერვალსაც მალე მივაღწევთ, რომელზეც ჩემი მოსვლის დღიდან ვსაუბრობდი – ერთ დღეს აუცილებლად გავხდებით მსოფლიოს ჩემპიონები! ეს არ მოხდება ერთ დღეში, მაგრამ ამისათვის ყველაფერს ვაკეთებთ და შედეგიც აუცილებლად იქნება.

ის, რაც გვაქვს გენეტიკაში და ისტორიაში, იმას ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებს.“

## გამოთხოვება

# კაცი, რომელიც დააკლდა გურჯაანს და სრულიად კახეთს



მოულოდნელობით არის სავსე ჩვენი ცხოვრების გავლილი და გასავლელი გზა. ძნელი წარმოსადგენი და აღსაქმელია, რომ სულ რამდენიმე დღის წინ, ახალი წლის გარიჟრაჟზე, ერთად ვატარებდით სასურველ და სასიამოვნო დღეებს ღირსეულ მამულიშვილთან **გოგი (გიგო) მაჩხაშვილთან,** რომელიც, სამწუხაროდ, არ ვიცოდით თუ ასე მძიმე სენით იყო შეპყრობილი.

თავისი შეგნებული ცხოვრების განვლილ გზაზე, 50 წლის განმავლობაში, მოხდენილად და საზრიანად ღებულობდა და უზიარებდა გამოცდილებას მთელ მის გარემოცვას, სრულიად კახეთს.

შინაგანი სიმშვიდით გამორჩეული, განუმეორებელი იუმორის გრძნობით, ადამიანური მოვალეობების პრინციპების, ტრადიციების, ღირსების და ღირებულებების დაცვით გვხიბლავდა ყველას.

გოგი მაჩხაშვილს არასოდეს აურიდებია თავი ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტისათვის, იმედით და რწმენით ცხოვრობდა, სიცოცხლის ბოლო წუთამდე იბრძოდა და იღვწოდა ხალხზე ზრუნვით და მათი პრობლემების მოგვარებით. ზემოთ ხსენებულ სულიერ სიკეთეებთან ერთად, შეფარული, მაგრამ ამაღლებული მოთხოვნილება ჰქონდა, ეზრუნა გურჯაანსა და გურჯაანელებზე.

გოგი მაჩხაშვილი სხვადასხვა დროს სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა და საქმიანობდა საქართველოს საზოგადოებისთვის ცნობილ თანამდებობის პირებთან და საზოგადო მოღვაწეებთან: შოთა ეცადაშვილთან, დავით სარიშვილთან და გია არსენიშვილთან.

ამ ურთიერთობებმა უაღრესად დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება შესძინა მას, რაც უშურველად და უანგაროდ მოახმარა მშობლიურ კახეთს.

უსაზღვროდ მადლიერი ვარ ჩემი ცხოვრების განვლილი გზის, რომ წილად მხვდა ბედნიერება, თითქმის ერთი ათეული წელი ერთად გვემუშავა, ორმოც წელზე მეტი კი მისი უახლოესი მეგობარი ვყოფილიყავი, ჩვენ გვქონდა განუსაზღვრელი, დიდი ადამიანური ურთიერთპატივისცემა, ოჯახებით მეგობრობა, სიყვარული და ერთგულება.

ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ისევ ისეთი შეუცვლელი, მზრუნველი და მოამაგე დარჩება გოგი მაჩხაშვილი, როგორც ათეული წლების განმავლობაში იყო ის მუდამ სამაგალითო, წესიერი, ახალგაზრდებზე მზრუნველი და მოფიქრალი პიროვნება გახლდათ.

გოგი მაჩხაშვილის ამ ქვეყნიდან იმ ქვეყნიურ მარადიულობაში გადასვლით უზარმაზარი სიცარიელე გაჩნდა ჩვენს სამეგობრო წრეში.

ის იყო სანიმუშო პროფესიონალი, გულანთებული პატრიოტი, ნაღდი მამულიშვილი.

უფალმა დაგიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

**მეგობრული სიყვარულით და**
**პატივისცემით**
**ბიძინა სონღულაშვილი**
**14.01.2025წ**

---

**თენგიზ, ქეთევან, ქეთი ქავთარაძეები სამძიმარს უცხადებენ ინდირა ძაგანიას მამის**

## ინდიკო ძაგანიას

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

# თითო ღერი სიგარეტი ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას, სავარაუდოდ, 20 წუთით ამცირებს!

**ბრიტანელი მეცნიერების კვლევის თანახმად, ერთი ღერი სიგარეტი სიცოცხლეს 20 წუთით ამცირებს.**

მეცნიერების თქმით, ერთი ღერი სიგარეტი მამაკაცებში სიცოცხლეს 17 წუთით ამცირებს, ქალებში კი – 22 წუთით.

კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანები, რომლებიც სიგარეტს მთელი ცხოვრების განმავლობაში ეწეოდნენ, სიცოცხლის დაახლოებით ათი წელი დაკარგეს იმ ადამიანებთან შედარებით, რომლებსაც სიგარეტი არასდროს მოუწევიათ.

დამატებითმა კვლევამ, რომელიც ჟურნალ **Nature**-ში გამოქვეყნდა, აჩვენა, რომ რაც უფრო დიდხანს ეწევა ადამიანი სიგარეტს, მით უფრო ძლიერ იცვლება მისი იმუნური სისტემა, რაც ზრდის სიმსივნის, ინფექციური და აუტოიმუნური დაავადებების გაჩენის რისკს. როდესაც მწეველი მოწევას თავს ანებებს, ორგანიზმის იმუნური პასუხი უკეთესი ხდება, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში მთლიანად აღდგენას ვერ ახერხებს.

„კარგი ამბავი იმაში მდგომარეობს, რომ იმუნიტეტი მართლაც იწყებს აღდგენას. არ არსებობს კარგი დრო მოწევის დაწყებისთვის, თუმცა თუ თქვენ ეწევით, ახლა საუკეთესო დროა, დაანებოთ თავი მოწევას“, – განაცხადა ექიმმა და კვლევის თანაავტორმა დარაგ დაფიმ.

---

# დააკავეს ტერაქტის ბრალდებით

**აზერბაიჯანის სამთავრობო მედიის ინფორმაციით, აზერბაიჯანის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სამუშაოების შედეგად აზერბაიჯანში საქართველოს მოქალაქე აგილ ასლანოვი და აზერბაიჯანის მოქალაქე ჯეიჰუნ ისმაილოვი ტერაქტის მომზადების ბრალდებით დააკავეს.**

აგილ ასლანოვი, რომელიც ნარკოტიკების კონტრაბანდით იყო დაკავებული, 2024 წლის სექტემბერში მესამე ქვეყანაში ყოფნისას, ნაცნობის მეშვეობით შეხვდა ამ ქვეყნის დაზვერვის ოფიცრებს, რომლებმაც მას ფოტოები აჩვენეს და აცნობეს აზერბაიჯანში რელიგიური თემის წევრის შესახებ.

მედიის ინფორმაციით, მას ასევე შესთავაზეს რელიგიური თემის წევრის მკვლელობის მცდელობა 200 ათასი აშშ დოლარის ჯილდოს სახით.

ორმხრივი შეთანხმებით აგილ ასლანოვს თავდაპირველად დაევალა, შეეგროვებინა და გადაეცა მათთვის საჭირო სადაზვერვო მონაცემები თემის წევრისა და მისი სამუშაო ადგილის შესახებ, რისთვისაც მას 2 ათასი აშშ დოლარის ავანსი გადაეცა.

დავალების შესასრულებლად ბაქოში ჩასულმა აგილ ასლანოვმა ჯეიჰუნ ისმაილოვთან ერთად, რომელიც მატერიალური ინტერესის სანაცვლოდ კრიმინალურ ქმედებებში მონაწილეობდა, აწარმოებდა მუშაობას რელიგიური თემის წევრის შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე, უცხოურ სპეცსამსახურებს უგზავნიდა მონაცემებს მისი საცხოვრებელი ადგილისა და მუშაობის შესახებ შესაბამისი მობილური ტელეფონის აპლიკაციით.

---

# ორთაჭალაში მომხდარი ტრაგედიის დეტალები

**ორთაჯალაში, საცხოვრებელ კორპუსში აფეთქების შედეგად დაშავებულთაგან ერთის მდგომარეობა განსაკუთრებით საყურადღებოა. ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა მიხეილ სარჯველაძემ განუცხადა.**

მიხეილ სარჯველაძე შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა, ასევე მოინახულა მომხდარის შედეგად დაშავებული ერთ-ერთი მოქალაქე, რომელიც კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალსშია“ მოთავსებული.

მინისტრის თქმით, ვიდრე შენობის შემოწმება დასრულდება, კორპუსში მცხოვრები მოქალაქეები დროებით საცხოვრებლებში განთავსდებიან.

„უბედური შემთხვევა მოხდა. ზუსტი მიზეზები ალბათ გამოძიების ჩატარების შემდეგ შეგვეძლება ვთქვათ. სავარაუდოდ, საუბარია გაზის გაჟონვაზე ან ქსელის გაუმართაობაზე, რამაც გამოიწვია აფეთქება და დატრიალდა ტრაგედია. ახლა მოქალაქეების განთავსება მიმდინარეობს, რათა ღია ცის ქვეშ არ დარჩნენ, ვიდრე შენობის მდგრადობა შემოწმდება“, – განაცხადა მიხეილ სარჯველაძემ.

კლინიკაში რამდენიმე პირია მოთავსებული და მათი მდგომარეობა სხვადასხვა სირთულისაა.

„ერთი პიროვნების შემთხვევაში ეს განსაკუთრებით საყურადღებო მდგომარეობაა. ის იმყოფება ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. ერთი ადამიანი, საუბედუროდ, გარდაცვლილია. ზუსტდება ყველა დეტალი. თანავუგრძნობთ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს. იმედია, ყველა იქნება კარგად, ვინც გადაურჩა ამ უბედურ შემთხვევას. მიმდინარეობს ყველა სამუშაო, რომელიც აუცილებელია მიზეზების დასადგენად. დაწყებულია ევაკუაციის პროცესი, ვისაც ყველაზე მეტად ეჩქარებოდა. უახლოესი რამდენიმე საათის განმავლობაში ყველა დაბინავდება. ზუსტად თქმა შეუძლებელია, რამდენი ოჯახია. ეს კორპუსი სრულად დასახლებული არ იყო. ბინების ნაწილი იყო დაკეტილი. ალბათ, რამდენიმე ათეულია კორპუსში მცხოვრებთა რაოდენობა“, – აღნიშნა მიხეილ სარჯველაძემ.

**ორთაჯალაში საცხოვრებელ კორპუსში აფეთქება გვიან ღამით მოხდა. მომხდარის შედეგად დაიღუპა ერთი ადამიანი. ოთხი დაშავებული კლინიკაშია გადაყვანილი.**

---

## ამინდი მკვეთრად იცვლება

**მეტეოროლოგი კობა ფარტენაძე სოციალურ ქსელში მოსალოდნელ ამინდზე წერს.**

„მთელ ქვეყანაში მომდევნო 1 კვირის განმავლობაში უმეტესად მოღრუბლული და ნალექიანი ამინდია მოსალოდნელი, საგრძნობლად აცივდება და იწვიმებს დაბლობსა და ბარში, მთიან და მაღალმთიან ზონაში კი მოსალოდნელია თოვლი.

მოგზაურობას ვინც გეგმავთ, უხვთოვლიანი პერიოდი იქნება ზამთრის კურორტებისთვის, შეგიძლიათ ისიამოვნოთ. მართალია, თოვლი ყველას მოგვენატრა და თითოეულ ქალაქში სითეთრეს ბედნიერება მოაქვს, მაგრამ ვერ დაგიდასტურებთ, რომ დაბლობზე ან ბარში ითოვებს, სამწუხაროდ, არა“, – წერს მეტეოროლოგი.

# ლიონელ მესის საჩუქარი ჭადრაკის დედოფალს!

**ლეო მესიმ საქართველოს ლეგენდარულ მოჭადრაკეს, ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს მადლობა გადაუხადა საჩუქრისთვის და საპასუხოდ არგენტინის ეროვნული ნაკრების მაისური გაუგზავნა საკუთარი ავტოგრაფით.**

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა მესიმ ნონა გაფრინდაშვილს მაისური უსახსოვრა – პირველად 2021 წელს, 80 წლის იუბილეზე „ბარსელონას“ მაისური აჩუქა. ამ მაისურის მიღება ნონა გაფრინდაშვილისთვის განსაკუთრებულია, რადგან იგი ლეო მესის დიდი ქომაგია.

ლეგენდარულ მოჭადრაკეს საჩუქარი არგენტინის საგარეო საქმეთა, საერთაშორისო ვაჭრობისა და კულტურის სამინისტროსა და არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის ძალისხმევით გადაეცა.

მათივე დახმარებით, არგენტინაში საქართველოს ელჩმა, ბატონმა გვარამ ხანდამიშვილმა მესის ნონა გაფრინდაშვილის მიერ გაგზავნილი საიუველირო ჭადრაკი (მოოქროვილი ფიგურებით) გადასცა, რომელიც 2021 წელს „ბარაფხანის“ მიერ დამზადდა და „კოპა ამერიკაზე“ გამარჯვება მიულოცა. ეს ქმედება კიდევ ერთხელ ასახავს ლეგენდარული სპორტსმენების ურთიერთპატივისცემას.

**გავრცელდა ლეო მესის მიმართვის ტექსტიც: „ქალბატონო ნონა, გამარჯობა. პირველ რიგში, მსურდა, მადლობა გადამეხადა. როგორც იქნა, ამდენი ხნისა და რამდენიმე მცდელობის შემდეგ მივიღე თქვენი საჩუქარი, კიდევ ერთხელ გულითადი მადლობა. გიგზავნით არგენტინის ეროვნული ნაკრების მაისურს ჩემი ავტოგრაფით“.**

# თანამშრომლობის მემორანდუმი

**ქუთაისის უნივერსიტეტსა და კალიფორნიის შტატის „უესტკლიფის უნივერსიტეტს“ (აშშ) შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.**

„მემორანდუმი ერთობლივი კვლევითი და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას, ერთობლივი ინგლისურენოვანი პროგრამების და სტუდენტებისა თუ აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. უესტკლიფის კერძო უნივერსიტეტი 1993 წელს დაარსდა. უესტკლიფის უნივერსიტეტი შედგება მიზნესის, განათლების, ტექნოლოგიების, აიტი ინჟინერიის და დასავლეთის სახელმწიფო სამართლის კოლეჯებისგან. უნივერსიტეტი გამოირჩევა ინოვაციური სწავლის მიდგომებით და სწავლის მაღალი ხარისხით. მათი გამოცდილების გაზიარება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ქუთაისის უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისთვის“ – ნათქვამია ქუთაისის უნივერსიტეტის ინფორმაციაში.

# თეთრ სახლში, პრეზიდენტის გვერდით...

**ამერიკელ მილიარდერს ილონ მასკს, რომელიც დონალდ ტრამპის ახალ ადმინისტრაციაში მთავრობის ეფექტურობის დეპარტამენტს უხელმძღვანელებს, სამუშაო ოთახს თეთრ სახლში, არჩეული პრეზიდენტის კაბინეტთან ახლოს უმზადებენ.**

ამის შესახებ ინფორმაციას „ნიუ იორკ თაიმსი“ ორ ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ასეთი შესაძლებლობა ილონ მასკს საშუალებას მისცემს, წვდომა ჰქონდეს დონალდ ტრამპთან, როდესაც ის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას დაიწყებს.

# ფილმში „კრემლის ჯადოქარი“ პუტინის როლს ჯუდ ლოუ შეასრულებს

**ინგლისელი მსახიობი ჯუდ ლოუ ფრანგი რეჟისორის ოლივიე ასაიასის ახალ ფილმში კრემლის ჯადოქარი (The Wizard of the Kremlin) ვლადიმირ პუტინის როლს შეასრულებს. ინფორმაცია მსახიობმა Deadline-თან ინტერვიუში დაადასტურა.**

„ამას ყოყმანით ვამბობ, რადგან ამაზე მუშაობა ჯერ ნამდვილად არ დამიწყია. ვგულისხმობ იმას, რომ დავიწყე, თუმცა, თითქოს ჩემ წინ ევერესტია, მე კი ფერდობზე ვდგავარ და ზევით ვიყურები, ვფიქრობ: „ღმერთო, რატომ დავთანხმდი ამას?“ ასე ხშირად ხდება, როდესაც რაღაცას ვთანხმდები. ამავდროულად, ვფიქრობ: „ღმერთო, როგორ უნდა გავაკეთო ეს?“ მაგრამ არაუშავს ეს ყველაფერი ჩემი გადასაწყვეტია“. – თქვა მსახიობმა.

ოლივიე ასაიასის ფილმი **The Wizard of the Kremlin** ამავე სახელწოდების ნოველას ეფუძნება, რომელიც 2022 წელს იტალიელმა ესეისტმა და ნოველისტმა ჯულიანო და ემპოლიმ დაწერა.

ნოველის მიხედვით, ფილმში მოთხრობილი იქნება რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის პოლიტიკური კარიერის საწყისი წლების შესახებ.

# XXI საუკუნის საუკეთესო არტისტი — ტეილორ სვიფტი

**Billboard**-მა საკუთარ ჩარტებში მიღწევების მიხედვით, 21-ე საუკუნის 100 საუკეთესო არტისტი დაასახელა.

ჩამონათვალში პირველ ადგილს ტეილორ სვიფტი იკავებს.

მეორე ადგილს – დრეიკი, მესამეს – რიანა, მეოთხეს **Post Malone**, ხოლო მეხუთე ადგილზე ემინემი გავიდა.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი **სპარტაკ ქობულია** (599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე **მამუკა ვაშაკიძე** (597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი: **ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი **რუსუდან ქობულია** (577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები: **ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი **შორენა გვილია.**

დამკაბადონებლები **გიორგი მახარაშვილი, არჩილ სიხარულიძე.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი **გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:** თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: sak@sak.ge**

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**

**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.**

იბეჭდება სტამბა „კოლორში“ ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

# ხელოვნური ინტელექტი პარკინსონს სიმპტომების გაჩენამდე 7 წლით ადრე აღმოაჩენს!

**გეტინგენის უნივერსიტეტის მკვლევრებმა ინოვაციური სისხლის ტესტი და ხელოვნური ინტელექტი შეიმუშავეს. მათ ამით პარკინსონის დაავადების პროგნოზირება შეუძლიათ. მეთოდს დაავადების პროგნოზირება სიმპტომების გამოვლენამდე შვიდი წლით ადრე შეუძლია.**

პარკინსონის დაავადება ნეიროდეგენერაციული აშლილობაა, რომელიც ადამიანებს სულ უფრო ხშირად უვითარდებათ. მისი ადრეული დიაგნოსტიკა რთულია, მაგრამ ახალ კვლევას იმედის მომცემი შედეგები აქვს.

ამჟამად პარკინსონის დიაგნოზი მოტორიკაზე დაკვირვებით ხდება. შესაბამისად, ეს ხდება მაშინ, როდესაც ტვინი უკვე მნიშვნელოვნადაა დაზიანებული. თუმცა, ახალ მეთოდს ამ მხრივ რევოლუციის მოხდენის პოტენციალი აქვს.

„დიაგნოზის დასმა ადრეულ ეტაპზე უნდა მოხდეს. იმ შემთხვევაში თუ ტვინის უჯრედები სერიოზულად დაზიანდა, შემდგომში მათი აღდგენა ვეღარ ხერხდება“, – ამბობს კვლევის ავტორი, პროფესორი კევინ მილსი.

დაავადების ადრეული გამოვლენა ექიმებს მკურნალობის ადრე ჩარევის საშუალებას მისცემს.

**Interesting Engineering**-თან მილსმა განმარტა, რომ სისხლში ახალი მიომარკერების აღმოჩენა შეძლეს. ეს მარკერები პარკინსონის განვითარებასთანაა დაკავშირებული. რაც მნიშვნელოვანია, პროგნოზირება 100-პროცენტიანი სიზუსტით მოხდა.

კვლევა ფოკუსირებული იყო პაციენტებზე, რომლებსაც ძილის ქცევის დარღვევა აქვთ. პაციენტების დაახლოებით 75-80%-ს საბოლოოდ სინუკლეინოპათია უვითარდება, ტვინის ფუნქციონირების დარღვევა, რომელსაც ალფა-სინუკლეინის ცილის დაგროვება ახასიათებს. ეს ცილა საბოლოოდ პარკინსონთანაა დაკავშირებული.

მკვლევრები პაციენტებს ათი წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ. ხელოვნური ინტელექტის პროგნოზები გამართლდა, ჯგუფმა გამოავლინა 16 ადამიანი, რომლებსაც 7 წლის შემდეგ პარკინსონი განუვითარდათ.

„ეს ნიშნავს, რომ სამკურნალო თერაპია ადრეულ ეტაპზე ჩატარდება, რამაც შესაძლოა, შეანელოს დაავადების პროგრესირება ან სულაც, თავიდან აიცილოს მისი წარმოშობა“, – აღნიშნულია კვლევაში.

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
**ანგარიშის ნომერი**
**GE90BG0000000538329790**

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 17 იანვარს**